№ 9—10 1883—1900 1—30 მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

ოფიციალური განყოფილება

უმაღლესი ჯილდოები

6 ამა მაისს უმაღლესად ბოძებულის უქაზისამებრ უმოწყალესად დაჯილდოებულ არიან: წმიდა ანნის მეორე ხარისხის ორდენით: ყოვლად სამღვდელონი: დეონიდე, ეპისკოპოსი გორისა, პირველი ვიკარი ქართლის ეპარქიისა და კირიონი, ეპისკოპოსი ალავერდისა, მეორე ვიკარი იმავე ეპარქიისა.

ხელმწიფე იმპერატორმა უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის წარდგენილების გამო წმ. ანნას ორდენის საკავალერო გამგეობის უქვეშევრდომილესი მოხსენებით, ამ მიმდინარე წლის თებერვლის 3-ს უმოწყალესად კეთილ ინება მიენიჭოს მოხსენებული მესამე ხარისხის ორდენი ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლად ნამყოფს (ეხლა-კი გურიასამგრელოს ეპარქიის საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების მეთვალყურეს) სტატსკი სოვეტნიკს თეოდორე ჟორდანიას.

ბანჩინებანი უწმ. სინოდისა.

11—19 აპრილიდგან 1900 წ. № 1483, დაჯილდოებისათვის სასულიერო წოდების პირთა სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის.

უქაზისამებრ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, უწმიდესმა ტ უმართებელესმა სინოდმა მოისმინა: წარდგინებანი ეპარქიების მღვდელ-მთავრებისა, მოსკოვის სინოდალნი კანტორისა და სასახლის სამღვდელოების გამგის დაჯილდოებისათვის, მათდამი რწმენებულ სასულიერო პირთა, სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის, ბრძანეს: საფუძველთა ზედა მოხდენილ მსჯელობათა, უწმ. სინოდი განაწესებს: ამასთანავე წარმოგზავნილ სიასა შინა მოხსენებულნი სასულიერო პირნი დაჯილდოებულ იქმნენ სიასა შინა აღნიშნული ჯილდოებით და ეპარქიის მღვდელ-მთავრების, მოსკოვის სინოდალნი კანტორის და სასახლის სამღვდელოების გამგის გამოსაცხადებლად დაჯილდოებულ პირთა სია დაბეჭდილ იქმნეს „საეკლესიო უწყებებში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სია სასულიერო წოდების ბერთა, რომელნიც დაჯილდოებულ იქმნენ მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა დაბადების დღეს სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის.

საქართველოს საეკლესიოში: ა) **ენქერით**: ტფილისის კადეტის კორპუსის ეკლესიის დეკანოზი ალექსანდრე მანსვეტოვი; ქ. ფოთის საკათედრო სობოროს დეკანოზი გრიგოლ მაჭარიშვილი; ბ) **ოქროსანდრიტის ხარისხით**—ინსპექტორი ტფილისის სასულიერო სემინარიისა ბერმონაზონი სტეფანე; გ) **დეკანოზობის ხარისხით**—ქ. ტფილისის ავლაბრის მარინეს ეკლესიის მღვდელი მიხეილ ბერძენიშვილი; ქ. ქუთაისის, წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი ნესტორ უუბანეიშვილი; იმერეთის ეპარქიის, შორაპნის მაზრის, სოფლის ჩხერის ეკლესიის მღვდელი ერმალოზ ვეფხვაძე; ქ. ქუთაისის მთავარ-ანგელოზთა სობოროს მღვდელი ფილიპე ფხაკაძე; იმერეთის ეპარქიის, შორაპნის სოფლის წევის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი ლუკა მაღრაძე; გურია-სამეგრელოს ეპარქიის, ოზურგეთის მაზრის, სოფ. ლანჩხუთის ეკლესიის მღვდელი კონსტანტინე კანდელაკი; სოფელ ერკეთის ამავე მაზრის, მღვ. სიმონ მგალობლიშვილი; დ) **იგუმენის ხარისხით**—ქართლის ეპარქიის ხირსის მონასტრის ბერმონაზონი ალექსანდრე; ეკონომი იმერეთის ეპარქიის საარქიერო სასახლისა ბერმონაზონი ევქსენტი; სუხუმის ეპარქიის მიძინების დრანდის მონასტრის, ბერმონაზონი საბა; ე) **მკერდის ჯვრითა**—**უწმ. სინოდისაგან ბოძებულითა**—მასწავლებელი ტფილისის სასულიერო სემინარიისა ბერმონაზონი ანატოლი; ქ. ტფილისის, მეორე სამისიონერო ეკლესიის მღვდელი სერგი გორგოლეკი; ქ. ტფილისის საკათედრო სობოროს მღვდელი ანატოლი თოთიბაძე; ტფილისის ეპარქიალური სანთლის ქარხნის მმართველი მღვდ. სიმონ ჯაჯანაძე; ქ. ბაქოს მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიის მღვდელი ალექსანდრე გრიფცევი; ქართლის ეპარქიის, სოფელ ნორიოს ეკლესიის მღვდელი სიმონ მანსვეტოვი; გორის მაზრის, სოფელ დიდი მტკვრის ხევის ეკლესიის მღვდელი ნიკოლოზ სამხარაძე; ქართლის ეპარქიის, შუამთის მონასტრის ბერ-მონაზონი ნიკიფორე; ქართლის ეპარქიის ალავერდის სობოროს სალაროს გამგე—ბერ-მონაზონი იდარიონი; ეკლესიოსის სასახლის ჯვარის ეკლესიის ბერ-მონაზონი ზოტიკი; სიღნაღის მაზრის, სოფელ კელმეჩურის ეკლესიის მღვდელი გრიგოლ ნიკურაძე; ქ. ქუთაისის, საფირჩხის ეკლესიის მღვდელი ივლიანე აბესაძე; ლეჩხუმის მაზრის, იმერეთის ეპარქიისა, სოფელ ქვედა-ჭყვიშის ეკლესიის მღვდელი ნიკოლოზ ფრუიძე; იმერეთის ეპარქიის შორაპნის მაზრის, სოფელ ითხვისის ეკლესიის მღვდელი ბლაღოჩინი იოსებ წერეთელი; ამავე ეპარქიის, ქუთაისის მაზრის სოფელ გუბის ეკლესიის მღვდელი იოსებ წერეთელი; გურია-სამეგრელოს ეპარქიის, ოზურგეთის მაზრის, სოფელ ლანჩხუთის ეკლესიის მღვდელი ლავრენტი გეორგეანა; გურია-სამეგრელოს ეპარქიის, სენაკის მაზრის, ნოვოქალაქევის 40 მოწამეთა ეკლესიის მღვდ. გიორგი შალამბერიძე; იმავე მაზრის, სოფელ ნაგვაზავის ეკლესიის მღვდელი ანდრია ჭალაგანიძე; გურია-სამეგრელოს ეპარქიის, ოზურგეთის მაზრის სოფელ გუტურის ეკლესიის მღვდელი გრიგოლ შაქარიშვილი; იმავე ეპარქიის შემოქმედის მაცხოვრის ფერისცვალების მონასტრის ბერმონაზონი ლავრენტი; იმავე ეპარქიის, სენაკის მაზრის, მარტვილის ღვთის-მშობლის მონასტრის ბერმონაზონი იდარიონი; სუხუმის ეპარქიის საეკლესიო-სამრევლო სკოლების მეთვალყურე მღვდელი ბასილი ალსტრებოვი; 1) **ჯამიანებით**—ბაქოს ალექსანდრე მესამის ვაჟების გიმნაზიის ეკლესიის მღვდელი ნიკანდრ ბოგრეფსკი; ქ. ტფილისის იოანნე ღვთის-მეტყველის ეკლ. მღვდელი იოანნე მიხაილოვსკი; ქ. ტფილისის საკათედრო სობოროს მღვდელი ალექსანდრე სიმონოვი; ქ. ტფილისის ალექსანდრე ნეველის ეკლესიის მღვდელი

კიპრიანე ცარიჯოვსკი; ქ. ბაქოს ალექსანდრე ნეველის სობოროს მღვდელი სიმონ დიაძე; ქართლის ეპარქიის, ბოდბისის წმ. ნინოს დედათა მონასტრის მღვდელი იოსებ მირიანოვი; იმავე ეპარქიის, სოფ. ჯვარმოსელოს ეკკლესიის მღვდელი ნიკოლოზ როსტომოვი; იმავე ეპარქიის სიღნაღის მაზრის სოფელ ანაგის ეკკლესიის მღვდელი გიორგი ახმეტელოვი; ტფილისის მაზრის, სოფელ ოძისის ეკკლესიის მღვდელი იოსებ კანდელაკი; ქ. ყარსის მაცხოვრის ფერისცვალების სობოროს მღვდელი სტოლიან კაკულიდი; იმერეთის ეპარქიის, რაჭის მაზრის, სოფ. კვაცხუთის ეკკლესიის ბლაღოჩინი მღვდელი მათე გორდეშიანი; იმავე ეპარქიის, ლეჩხუმის მაზრის, სოფელ ჯანხუდერის ეკკლესიის მღვდელი ზაქარია მწყედლიძე; იმავე მაზრის, სოფელ საირმეს ეკკლესიის მღვდელი კალისტრატე გაბაანი; ქ. ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკკლესიის მღვდელი ტიმოთე კაპანაძე; ქ. ქუთაისის საქალებო სასწავლებლის საღმრთო სჯულის მასწავლებელი მღვდელი ალექსი გიორგაძე; ქუთაისის მაზრის, სოფელ ოფიშკვეთის ეკკლესიის მღვდელი სამსონ ნიჟარაძე; იმავე მაზრის, სოფელ იანეთის ეკკლესიის მღვდელი ზოსიმე შანიძე; იმავე მაზრის, სოფელ ქედის ეკკლესიის მღვდელი ლუკა ყვალიანი; იმავე მაზრის, სოფ. გოდოგნის ეკკლესიის მღვდელი პროკოპი ჭირაქაძე; იმავე მაზრის, სოფელ ცუცხვათის ეკკლესიის მღვდელი იაკობ სირბილაძე, იმავე მაზრის, სოფ. ჩაგანის ეკკლესიის მღვდელი სამსონ შენგელია; იმერეთის ეპარქიის, შორაპნის მაზრის, სოფელ ღვანკითის ეკკლესიის მღვდელი ისიდორე კრაწა; იმავე მაზრის, სოფელ ჭორვილას ეკკლესიის მღვდელი ალექსი ჯაფარიძე; იმავე მაზრის, სოფ. ამაშუკეთის ეკკლ. მღვდელი დომენტი რამანიშვილი; იმავე მაზრის, სოფ. ფუთის ეკ. მღვ. სიმონ თუთბერიძე; იმერეთის ეპარქიის, რაჭის მაზ. სოფ. ქვედას ეკ. მღვ. მაქსიმე გოგრიჭიანი; იმავე ეპარქიის, სოფ. ზედა-ლოკუხვანოს ეკ. მღვდ. კონსტანტინე ბურჯანაძე; იმავე ეპარქიის, სოფელ აგვის ეკ. მღვ, მაქსიმე თაგვაძე; გურია-სამეგრელოს ეპარქიის, ცაიშის მიძინების ეკ. მღ. ზოსიმე მაკაცარია; იმავე ეპარქიის, სოფ. დგემის მთავარ-ანგელოსთა ეკ. მღვ. ზებედე თოდუა; იმავე ეპარქიის, სოფელ ფოცხოვის ეკ. მღ. მაქსიმე გოგინაგა; იმავე ეპარქიის, სოფ. შუეფის ეკ. მღ. იოანნე ქავთარაძე; ქ. ფოთის საკათედრო სობოროს მღ. არსენი თოხაძე; გურია-სამეგრ. ეპ. სოფ. მუხურის ეკ. მღ. ნიკოლოზ ბენდელიანი; იმავე ეპარ., ზემო-თეკლათის ეკ. მღვ. ბასილი ხუციურაანი; იმავე ეპარქიის, სოფ. გეჯეთის ეკ. მღ. ბესარიონ თურქია; იმავე ეპარქიის, ოზურგეთის მაზრის, სოფ. კვირიკეს ეკ. მღვდ. იოანნე ერქომაიშვილი; იმავე ეპარქიის, სენაკის მაზრის, სამიქაოს ეკ. მღ. თომა კარანაძე; 3) უწმიდ. სინოდის კურთხევით გრამატიკურთ—ქ. გორის მიძინების სობოროს მთავარ-დიაკონი ონისიმე ხიზანოვი; 4) უწ. სინოდის კურთხევით უგრამატოთ—ტფილისის მაცხოვრის ფერისცვალების მონასტრის ბერ-მონაზონი გერასიმე; ქართლის ეპ., სიღნაღის მაზრის, სოფელ ნაფარეულის ეკ. მღ. მიეზეილ ვარდაევი; იმავე მაზრის, სოფ. შილდის ეკ. მღ. მათე მირიანოვი; ქართლის ეპ., დუშეთის მაზრის, სოფ. მეოლის-ჯვარის ეკ. მღ. აბრამ ბარნაბოვი; იმავე ეპარქიის, სოფელ საგურამოს ეკ. მღ. ალექსანდრე კანდელაკი; იმავე ეპარქიის, სოფ. შამიანის ეკ. მღ. ილია შიუკოვი; ქართლის ეპარქიის, გორის მაზრის სოფ. არკნეთის ეკ. მღ. გრიგოლ შამდოხოვი; ქართლის ეპარქიის, დუშეთის მაზრის, სოფ. ჩიღერ-უბინსის ეკ. მდვდ. ბართლომე დოშაძე; იმავე მაზრის, სოფ. გრემისხევის ეკ. მღ. გიორგი მგელაძე; ქართლის ეპარქიის, თელავის მაზრის, სოფ. შილდის ეკ. მღვდ. იოანნე ადნიეკი; იმავე ეპარქიის' გორის მაზრის, სოფელ სამწყევრისის ეკ. მღ. კონსტანტინე გურგენიძე.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

უწმიდესის სინოდის განმარტებითი დადგენილებანი.

ა) 13 იანვრიდგან—2 მარტამდის 1900 წლ. მე-130 ნომრით, იმ საკითხის გამო, შეიძლება თუ არა საეკლესიო მნათე აღმორჩეულ იქმნას დაფარულის კენჭის ყრით.

12 თებერვეს 1900 წლ. უმაღლესად დამტკიცებულის მნათეთა მიმართ დარიგების მე-14 მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, უკეთუ აღმომრჩეველთა კრებაზედ მიღწეული არ იქნება განცხადებული და საზოგადო თანხმობა მრევლისგან წარმოდგენილ კანდიდატთა შორის ერთის რომლისამე კანდიდატის საეკკლესიო მნათედ აღრჩევის შესახებ, აღრჩევა შეიძლება მოხდენილ იქმნას ხმის უმეტესობით; ამასთანავე ნაჩვენები არაა თვით სახე აღრჩევისა—ესე იგი არაა ნათქვამი, ხმის განცხადებულის მიცემით, თუ დაფარულის კენჭის ყრით უნდა იქმნას აღრჩეული მნათე; და ამისთვის საეკკლესიო მნათის აღრჩევა დახურულ კენჭის ყრის საშუალებით არ ეწინააღმდეგება ხსენებულ „დარიგების“ მოთხოვნილებათა. ამის გამო მექონების რა სახეში ის გარემოება, რომ აღრჩევა დაფარულ კენჭის ყრის საშუალებით ზოგიერთს შემთხვევაში წესიერების დასაცველადაც კარგია, უწმიდესი სინოდი ამავე დარიგების მე-6 მუხლის თანახმად, რომლის ძალით განმარტება, დამატება და შეცვლა იმის კანონებისა უწმიდესს სინოდს ეკუთვნის, განმარტა, რომ ყოველს შემთხვევაში, როდესაც-კი ყრილობა ვერ მიაღწევს საზოგადო თანხმობას მნათეს აღრჩევის საქმეში, შეიძლება მნათე აღრჩეულ იქმნას ხმის განცხადებულის მიცემითაც და დაფარულის კენჭის ყრითაც.

—ბ) 27 იანვრიდგან—4 თებერვლამდის 1900 წლ. მე-353 ნომრით, სასულიერო სასწავლებელთა მოსამზადებელ და პირველ კლასის მოწაფეთა სამხედრო ბეგარის გადახდის უფლებათა შესახებ საკითხის გამო.

მიიღების რა მხედველობაში, რომ სასულიერო სასწავლებელში, წესდების მეცხრე მუხლის თანახმად, უნდა იყოს მხოლოდ ოთხი კლასი და მოსამზადებელს კლას ხსნიან ადგილობითის სასულიერო წოდების სურვილის თანახმად იმ მიზნით, რომ ღირსეულად მომზადებულ იქმნან ის ბავშვები, რომელნიც სასულიერო სასწავლებელში შედიან, ამ სასწავლებლის კლასები დაწყობილის სწავლის შესათვისებლად, რაის გამო იმ მოწაფეებს, რომელნიც მხოლოდ მოსამზადებელს კლასში სწავლობდნენ, არ ეძლევათ მოწმობანი, სწავლიხ და ყოფა-ქცევის შესახებ, დაწესებულნი სასწავლებლის შტატის კლასების მოწაფეთათვის, უწმიდესმა სინოდმ, სასწავლო კომიტეტის დასკვნის თანახმად, განმარტა, რომ იმ მოწაფეებს, რომელთაც ისწავლეს მხოლოდ მოსამზადებელს კლასში და ან გადავიდნენ პირველს კლასში და ამ კლასიდგან სასწავლო წლის გათავებამდის გამოვიდნენ, არ შეუძლიანთ მიიღონ შეღავათი სამხედრო ბეგარის გადახდის საქმეში იმ პირთა მსგავსად, რომელთაც დაამთავრეს სწავლა მესამე ხარისხის სასწავლებელში, და ეს შეღავათი სამხედრო ბეგარის წესდებულების საფუძვლის ძალით (გამოც. 1897, დამატ. 61 სტატ). ეძლევათ მხოლოდ სასულიერო სასწავლებლის მესამე კლასის იმ მოწაფეებს, რომელთაც არ დაამთავრეს ამ კლასის კურსი და სასწავლებლის შტატის კლასებში თითო წელიწადზედ მეტი არ დარჩენილან და მიიღეს სასწავლებლის მთავრობისაგან დაწესებული მოწმობა.

ქალ. ეპარქიის სამისიონერო კურსებისაგან განცხადება.

სამისიონერო კურსების წესდებულების ძალით მათზედ მიიღებიან შტატის მსმენელები (საშუალო განათლებისანი) და თავისუფალნი მსმენელნი—ყოველად სამღვდელოთა განსაკუთრებულის წარმოდგენით, უკეთუ მათთვის თავისუფალი ადგილია საკლასო ოთახებში. წარსულ წლიდგან კურსებზედ იმდენმა საშუალო განათლება მიღებულმა პირმა მოისურვა შესვლა, რომ თავისუფალ მსმენელთათვის სრულიად აღარ დარჩა ადგილი არა თუ საცხოვრებლად მაცხოვრის სამისიონერო მონასტერში, არამედ კლასში მოსათავსებლად გაკვეთილების დროს; და ამის გამო თავისუფალი მსმენელები კურსებზედ აღარ მიიღებიან. რაიც შეეხება შტატის მსმენელებს, მათი თხოვნათა მიღება (საჭირო საბუთებითურთ) შესწყდება 12 მარიამობისთვეს, და შემდეგ მოცემული თხოვნები აღარ მიიღება, ვინაიდგან თავისუფალს ადგილებს ახლად შემოსული მსმენელები დაიკერენ,—რაის შესახებ ეუწყების ყველას, ვისაც ეინტერესება კურსების საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 9-10 1883—1900 1—30 მაისი

ჩვენი სოფლის ცხოვრების ეხლანდელი საჭირველარამო კითხვებისა გამო.



მას წინად ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა ცირკულიარულად მისწერა მაზრის უფროსებს: „პირადი დაკვირვება მარწმუნებს, რომ ეკლესიის დღეობებს სოფლელები უმსგავსოდ ატარებენ. ხალხი უზომოდ ხარჯსა და ლოთობას ეწევა, რასაც ხშირად აყალ-მაყალი, ჩხუბი და თითქმის სისხლის ღვრაც მოსდევსო. შეეცადეთ დღეობები ისე აასრულონ, როგორც შეეფერის ქრისტიანობრივ სარწმუნოების შინაარსსო“.

დიახ, სწორედ ძლიერ სასურველია ამ აზრის განხორციელება. სამწუხაროდ, ბევრ ზნე-ჩვეულებას დაუკარგავს ხალხში ჭეშმარიტი ელფერი, ხასიათი და დედა აზრი. ხალხი ყამთავითარებისა გამო ამცდარა ჭეშმარიტ გზას და ისე აღარ ესმის ბევრი ზნე-ჩვეულებები, როგორც სასურველია. ნაცვლად იმისა, რომ სამღვთო მადლიდან რაიმე წვლილი შესძინოს თვის გონებასა და ზნეობას, ზემო აღნიშნულ მანკიერებას ეძლევა. რასაკვირველია ყურადღების ღირსია ასეთი საქციელი, უნდა ვეცადოთ, რომ ხალხს თავი დავაღწევინოთ ასეთი მიმართულებისაგან. მაგრამ რა გზით? ზოგან სოფლებში განაჩენებს ადგენენ „დღეობები“ მოგსპოთო, ადამით სურსთ მოსპონ ზემოდ აღნიშნული წყლული! მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ არ მჯერა, რომ ეს საშვალება წამლად დაედვას ხსენებულს სენს. განა ეკკლესიის დღეობებია იმის მიზეზი, რომ ხალხი უწესოებას ჩადის ამ დროს? იმიტომ კი არ ეწევიან უზომო ხარჯსა, რომ ვითომც ამას დღეობა მოითხოვდეს და ავალებდეს, არამედ ამით მასპინძელი თავმოყვარეობას იჩენს, გულუხვობასა და „განათლებასა“ ამტკიცებს, ხოლო სტუმარი კი ჩვენი დროის პატარა ღმერთს—მუცელს ემსახურება. უწესოებას იმიტომ ჩადიან, რომ ზნეობა შელახულია, სხვისი პიროვნების პატივისცემა, სიყვარული და გატანა ხალხის გულში აღარ ღვივის.

მაშასადამე „დღეობების მოსპობა ვერც ერთს ამ უწესოებას ვერ აღმოფხრავს ხალხის ცხოვრებაში. მხოლოდ სხვა სახეს მისცემს და ადგილს გამოუცვლის. მუწუკს თუ ძირი არ ამოუღეთ და მხოლოდ ზედაპირი მოუშველეთ, მაშინ ის მეორე ადგილს იჩენს თავს და უფრო საშიში შეიქნება.

ჩვენსას რომ თავი დავანებოთ, ლიუტერანთა ისტორია სავსეა ამის მაგალითებით. ერთხელ იქაც მედგრად ჩაუდგნენ კვალში ხალხის ზნე-ჩვეულებებს და კიდევაც განსდევნეს ზოგნი ცხოვრებიდან. მერე რა? ის, რომ ხალხმა ყავახანასა და სამიკიტნოებს მიმართა და იქ მიეცა ქეიფს. ცხოვრებასაც უფერულობა-უსიცოცხლობა დაეტყო. ახლა იქ, როგორც ერთ‌ეული მოსპობას, ისე ხელახლა ამ ზნე-ჩვეულებათა აღდგენას შეუდგნენ. რისთვის? იმიტომ რომ ხალხი მარტო ერთი ნივთიერი ქონების შეძენისათვის განუწყვეტელ-მოუსვენებელ ჭაპან-წყვეტაში ვერ ჩალევს სიცოცხლეს. მას სულიერი მოთხოვნილებაც აქვს და ამ უკანასკნელს ზნე-ჩვეულებებით ხატავს და აკმაყოფილებს. ამასთან, თუ ზნე-ჩვეულებანი გონიერად, ნამდვილი დანიშნულებით სრულდებიან, მაშინ ისინი სკოლაა ხალხისათვის: ალბობენ, აკეთილშობილებენ და ამტკიცებენ ხალხის ხასიათსა, სულსა და გულს.

განა მარტო ეკკლესიის დღეობებზედ ეწევა ხალხი უზომო ხარჯს? განა მარტო ამ შემთხვევაში მოსდით უბედურება? რასაკვირველია არა, და არც მარტო ამ სახით გამოიხატება ჩვენი ზნეობრივი დაქვეითება, ხალხის კეთილ დღეობის, არსებობის ძირის გამომთხრელი, მღირღნავი სენი. დაკვირდით ახლოს ხალხის ცხოვრებას, გულის თქმას და მოქმედებას და მაშინ ნახავთ, თუ რამდენად სავალალოა ეს მოვლენა...

სხვაა აღმოფხვრა-მოსპობა რომელიმე ჩვეულებისა, და სხვაა გაწმედა მისი მავნე ნარევისაგან. ეს უკანასკნელი უფრო სასურველია პირველზე და მარგებელიც. პირველი კი მეტის-მეტ სიფრთხილით მოსაზრებას თხოულობს.

სათავე, როგორც იმ უწესოებათ, რომლებიც ეკკლესიის დღეობებზედ ხდებინა, ისე ყველა მანკიერებისა და სენისა, რომლებსაც ფეხი მოუდგამთ ჩვენი ხალხის ცხოვრებაში და რომელთა სახელი ლეგიონია, ხალხის გონებრივი და ზნეობრივი შეუგნებლობაა, სარწმუნოებრივი სიბნელე და უვიცობაა. თუ კი გვწადიან ხალხის სატკივარს მალამო მოუპოვოთ, მაშინ ეს სათავე უნდა დავაშროთ, აღმოვფხრათ. მაშინ თითონ ხალხი შეებრძოლება ყოველივე უზნეობას, სიწამხდრეს და გახრწნილებას... ხალხმა არ იცის, რა არის ნამდვილი მოთხოვნილება და საჭიროება, არ იცის ჭეშმარიტი სგანი ქედ-მაღლობისა და ამაყობისა, ბნელად აქვს წარმოდგენილი სახარების შინაარსი... შეუვსეთ ეს ნაკლი ხალხს და მაშინ იგი თავისთავად წასდგამს წინ ნაბიჯს.

რასაკვირველია, ეს ისე ადვილი არ არის, როგორც სიტყვით ითქმება, მაგრამ შესაძლებელი კია. თუ მთლად ვერ ავანთებთ მადლის ლამპარს ხალხის გულში, სხვევების შეშუქება მაინც კი შეგვიძლიან. მხოლოდ ის კია, რომ რა პირობებით, რისა და ვისი საშვალებით? ხალხი თავის თავად ვერ დაიღწევს თავს ამგვარ მდგომარეობას, და თუ შესაძლებელია ეს ისტორიის კანონებით, ბევრი დრო მაინც კი მოუნდება. ყოველ დროს და ყოველს საქმეში სპევრებია და ეპევრება ხალხს წინამძღოლი და გზის მაჩვენებელი. აი ამათი ზედ-გავლენით მოძრაობს ხალხი, ამათს ასეთსა თუ ისეთს თავგამოდებაზე, მუყაითობაზედ და გონიერებაზედ არის დამოკიდებული მისი ბედ-იღბალი.

სოფლის მოთავეთა შორის სამღვდელოებას შესამჩნევი ადგილი უჭირავს. თუ რისთვის, ამაზედ არ გავგრძელებთ ბაასს, რადგანაც ამ თანამდებობის მნიშვნელობა დღეს გამორკვეულიკაა და ყველასაც უნდა ესმოდეს. ვიტყვით მხოლოდ, რომ ვინაიდგან ბევრი ჩაუბარებიათ მათთვის, ამისათვის საზოგადო-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ებაც ბევრს სთხოვს, და როდესაც ცოტას ხედავს მათგან, გულნატკენი და უკმაყოფილო რჩება.

მართალია, დღეს ახალგაზდა, საშუალო სასწავლებლებში კურს დამთავრებული მღვდლებიც მოხშირდენ სოფლებში, მაგრამ, სამწუხაროდ, ხალხის სარწმუნოებრივი გრძნობები თუ გრილდებიან, თორემ არ ძლიერდებიან. ჯერ ამ ახალთაობას მოსალოდნელი არაფერი არ გაუკეთებია. იგინიც საერთო მიდრეკილებას აჰყოლიან, და ერთობ შეუტოპავთ უკულმართობის მორევში. ვინაც რა უნდა დასახელოს ამის მიზეზად, ჩვენ მაინც იმას ვიტყვით, რომ სოფლის მოღვაწესათვის საჭიროა ჯეროვანი მომზადება. ხალხის ზნეობრივ წინმავალობაში მხოლოდ მას შეუძლია თვისი წვლილი შეიტანოს, მხოლოდ მას შეუძლია მადლის მორევში თავის მხრივაც წვეთი გადაისროლოს, ვისაც უვარჯიშებია და გრძნობებთან შეუზრდია ხასიათი, თვისი მოვალეობის ბეჯითად ასრულება. რომ დიდი გენიოსობა გამოიჩინოს, ეს ყველას არ შეუძლია, ეს ბუნების საქმეა, მაკრამ ყველას აქვს უნარი, ის სიკეთე დასთესოს, რის ნიჭიც ბუნებას მიუცია, რის ძალ-ღონე აქვს. სასურველი და სანატრელიც ეს არის ცხოვრებაში. ამისათვის საჭიროა მხოლოდ მტკიცე ხასიათი და ენერგია, რაც აკლია ახალთაობას და რაც იმის მიზეზია, რომ სანამ ცხოვრებაში გამოვიდოდენ, ბევრს რასმეს ოცნებობენ; ცხოვრებაში კი მალე მარცხდებიან და ისინი ველარ გაგრძელებენ იმ მომაკვდავთაგან, რომლებიც გაიძახიან: „სანამ ხარ, სოფელი უნდა მოეამორ“.

რაც უნდა სურვილი ჰქონდეს და თუნდ სინდისიც ამხილებდეს, თუ კაცს არ აქვს მტკიცე ხასიათი და მოსიყვარულე გული, არ შეუძლია მიზანს მიაღწიოს—სიკეთე მოიმოქმედოს. მხოლოდ მაღალ პრინციპებსა და მტკიცე ხასიათს შეუძლიან საზოგადო ინტერესებს ემსახურონ და უარჰყონ პირადი სიამოვნება და ანგარიშები. ესენი ამოძრავებენ ადამიანს საზოგადო ასპარეზზე, მხოლოდ ამათი მეოხებით შეუძლია კაცს ხალხზე ზედგავლენა მოიპოვოს და ცხოვრების ვნებათა ღელვას წინააღმდეგობა გაუწიოს და ზნეობრივად არ დამახინჯდეს...

საიდან და როგორ მოიპოვება ეს საუნჯე? ესეც ცხადი **უნდა იყვეს** დღეს ყველასათვის. პირველი სკოლა ამისათვის ოჯახია, სადაც თითოეული ჩვენგანი საუკეთესო ხანას ატარებს, იმ ხანას, როდესაც სხვა დროზედ უფრო ბევრი რამეს შეძენა-შეთვისება შეუძლია, და რასაც კი მოიმუშავებს, იმის გადაჩვევა შეუძლებელია. პირველად აქ უნდა ენერგებოდეს ადამიანს ხასიათის სიმტკიცე, ნებებლობა, ენერგია, სიყვარული, მოვალეობა და სხვა. ასეთივე მნიშვნელობა აქვს სკოლებში და სასწავლებლებში სწავლის ხანასაც, სადაც პირველი ადგილი ხასიათის შემუშავებას, მაღალი გრძნობების, პრინციპებისა და იდეალის შეთვისებას უნდა ეთმობოდეს. მაგრამ თუ კაცი თითონ არ ცდილობს, არ ვარჯიშობს, ისე გარედან ამ განძის ჩადება მის ძარღვებში შეუძლებელია. საკუთარი შრომა, ვარჯიშობა და ძალა მიუცილებელია ამაებისათვის, სადაც და რა გარემოებაშიაც უნდა იყვეს ჩაყენებული ადამიანი. წვლილმან საქმეებზე ვარჯიშობას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს. „კაცის ხასიათი იმით დაფასდება, თუ როგორ იქცევა ის უბრალო და წვლილმან საქმეებისა და მოქმედების დროსო“, ამბობს ერთი მეცნიერი. „უძვირფასესი ის არის, როდესაც ადამიანი იმას ასრულებს პირნათლად, რასაც ჩვეულებრივი ცხოვრება მოთხოვსო“. ცხოვრებაში ბევრი ისეთი გარემოებანი შეხვდება კაცს, რომლებიც მატერიალურის მხრივ თუმცა გამოსადეგი და ხელსაყრელია, მაგრამ ზნეობრივად კი ამდაბლებს მას. აი ამ დროს სოფლის მოღვაწენი—ვიგულისხმებთ მწყემსთ,—არ უნდა ივიწყებდენ თავიანთ წმიდა მოვალეობას, უნდა ხელმძღვანელობდენ მაღალი გრძნობებით და ცდილობდენ ვნებათა ღელვის დათრგუნვას. რამდენმეჯერ ძლევა-მოსილობა ამ დროს უმტკიცებს მათ ხასიათსა და ნებებლობას.

„ადამიანი არის ისეთი ქმნილება, რომელიც ძალაუნებურად ჰბაძავს სხვის მაგალითსო“, ამბობს მეცნიერება. რა უნდა ჰქმნას იმ ადამიანმა, რომელიც მოჰყოლია მივარდნილს სოფელში, სადაც ვერაგობის მეტს ვერას ხედავს, არამც თუ წრეს, ვერც ერთს, ცოტად თუ ბევრად, შეგნებულს ადამიანს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ ხედავ, სადაც ერთი უკულმართობაა და ყველანი ამას დამონებიან? არის აქაც საშვალება, რომლის შემწეობით კაცს შეუძლია წინ აღუდგეს და გაუმკლავდეს ამ საერთო მიდრეკილებას, საზოგადო ძილს. მეტის მეტი საიმედო ამხანაგია ამ შემთხვევაში კარგი შინაარსის წიგნები. ესენი აერთებენ ასეთ აღგილს მოხვედრილს ადამიანს მოწყვეტილ მოწინავე ხალხთან, გადმოსცემენ მათ ცოდნასა და გამოცდილებას. ესენი ულვიძებენ და უმაღლებენ გრძნობებს, იმედებს, სულიერ ძალას, სიმხნეს, უწმედენ და უმაღლებენ ცხოვრებისა და მოქმედების მიზანს. ესენი აქეზებენ ადამიანს უკულმართობასთან საბრძოლველად და სხვა...

მაგრამ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვა მიუცილებელია არამც თუ ასეთ მიგდებულს ადგილს მოხვედრილთათვის, არამედ ყველასათვის, სადაც და რა ადგილსაც არ უნდა ვიყვეთ. სასწავლებლებში მიღებული სწავლა უკმარისია, იმას შევსება და გაფართოება უნდა, ის მხოლოდ „კონსპექტია“ სწავლისა. ამას თითოეული უნდა გრძნობდეს, ვისაც კი მოუნდომებია შებრძოლება მრეველის რომელიმე ზნეობრივ და გონებრივ ნაკლთან. მიუხედავად ამისა არამც თუ შინაურულ სწავლა-მიღებული სამღვდელოება, არამედ სემინარიელებიც კი ზურგს აქცევენ ამ მიუცილებელ საჭიროებას თავიანთი მოვალეობის ასრულებისათვის. „სად შეგვიძლიან ვიშოვოთ სოფლებში საჭირო წიგნები, ნივთიერი სიღარიბე არ გვაძლევს შეძლებას მოვიპოვოთ წიგნები და სხვ.“, ამბობენ მიზეზად. მაგრამ თუ რამდენად მართალია ეს აზრი და რამდენად უძლეველია ეს დამაბრკოლებელი მიზეზები, ამაზედ შემდეგ ვიტყვით.

მღვდ. დ. ჩხაიძე.

ჩვენი ქალების მოკრთვა-მოკაზმულობის შესახებ.

ვონებ, მორთულობის და მოკაზმულობის სიყვარული და სურვილი ისე არას დროს არ ეოფილა გავრცელებული, როგორც დღეს. ამ ჩვენს დროში უმეტესობა ამ მორთულობის და მოკაზმულობის თაყვანისმცემელია და მარტო მის ფიქრში არიან, თუ როგორ ჩაიცვან და დაიხურონ, რომ უმეტესად მოაწონონ თავი საზოგადოებას. ამ შემთხვევაში სწორედ სამწუხარო სანახაობას წარმოადგენს დედაკაცი. დღეს, თითქმის, ეოველი ქალი მარტო იმის ზრუნვაშია, რომ უკანასკნელი მოდის მოთხოვნილების თანახმად გამოეწეოს; უამისოდ საზოგადოებაში გამოსვლა სასირცხოდ მიაჩნია ჩვენს ქალს. უმეტესი ნაწილი ქალებისა ისე გატაცებულნი არიან მორთულობა-მოკაზმულობით, რომ მათ სრულებით აღარ ახსოვთ ღმერთი. როცა თავის სურვილისამებრ მოირთვებიან, შეიძლება ეკკლესიებშიაც წავიდნენ, მაგრამ სალოცავად კი არა, მათ სურთ მლოცველებს თავი მოაწონონ თავიანთი მვირფასი მორთულობით, თორემ სად შეუძლიათ მათ ან ჰირველის დაწერა და ან მუსლის მოერა ტაძარში, რადგან ისე არიან გაკრულნი, რომ სულის ამოღებაც-კი უჭირსთ. ხშირად ზოგი ქალები მთელი წლობით არ ზიარობენ, რადგან ახალი ტანთსაცმელის ეიდვა არ შეუძლიათ, ანუ ვერ მოახერხეს ისეთი მოსასსამის ეიდვა, როგორიც შეიკერა მათმა რომელიმე ნაცნობმა ქალმა. და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორთულობის მოდაც ხომ, ჩვენს საუბედურად, თითქმის ყოველ თვეობით იცვლება!.. ამ სახით მდიდრები დიდძალ ფულს სარჯავენ მორთულობა-მოკაზმულობისათვის; მათთვის ეს, რასაკვირველია, საძნელო არ არის. მაგრამ უბედურება ის არის, რომ მდიდრებს ამ შემთხვევაში ბაძავენ ნაკლები შემლების მექონენიც, სოლო ამ უკანასკნელთ ბაძავენ ისეთები, რომელთაც ლუკმა ჰური უჭირთ. კაცს არ შეუძლია წარმოიდგინოს ის უბედურება და უსიამოვნებანი, რომელნიც ხშირი შედეგია მორთულობა-მოკაზმულობის სიყვარულისა! ჯეშმარიტად, უბედურია ის ოჯახი, რომელშიაც ცხოვრებს მორთულობის მოსიყვარულე და მიმდევარი ქალი,—დედა იქნება იგი, ცოლი თუ და,—უბედურია აგრეთვე ის საზოგადოებაც, სადაც ბევრია ამგვარი ქალები! რამდენი უბედურება და უსიამოვნება ტრიალებს მორთულობისა და მოკაზმულობის გამო ზოგ ოჯახებში! ხშირად დიდის წვალებით მოპოებული გროში მორთულობაზე იხარჯება. ზოგჯერ შემოსავალი არ კმარობს, რომ მოდის მოთხოვნილების თანახმად ჩაიცვან ოჯახში. ამ შემთხვევაში ზოგიერთი ოჯახი ნამდვილ ჯოჯოხეთს წარმოადგენს! ზოგნი ხედვენ თავიანთ სიღარიბეს და ცდილობენ თავი დაანებონ მდიდრულ მორთულობას, მაგრამ იგინი მთლად დამონებიან თავიანთ გულის ვნებათა; მათ რცხვენიათ უკან ჩამორჩენ სხვებს... ამიტომ მორთულობა - მოკაზმულობისათვის საჭირო ფულების მოსაპოებლად მზად არიან ჩაიდინონ ისეთი საქციელი, რომელიც ჰატიოსან კაცს არ შეჰფერის. მზად არიან გაჰყიდონ სინდისი და შეაყიწროონ თავიანთი მომძენი. მართალია ყველასათვის საჭირო სუფდათ ჩაცმა, მაგრამ დღეს ასეთი კანონიერი მოთხოვნილება გადაიქცა უმთავრეს საზრუნავ საგნად, გულის თქმად და ვინ მოსთვლის, რამდენ უბედურებას გვაყენებს ჩვენ ეს ვნება? ქალისათვის ეს გულისთქმა დიდად დამამცირებელია. მორთულობა-მოკაზმულობის მიმდევარი ქალი წარმოგვიდგენს რადაცა ქარაფშუტა ადამიანს, რომელიც მხოლოდ სიამოვნებასა და ჩაცმა-დასურვაზე ზრუნავს და ფიქრობს. ასე იქცევა ის ღვთის ქმნილება, რომელიც უმეტესად დაჯილდოებულია ღვთისაგან მდიდარი ნიჭით და მადლით; ქალს აქვს მოსიყვარულე გული, კეთილი სული და მზად არის თავი დასდოს სხვისთვის, მას შეუძლია ბევრი რამ სიკეთე და სარგებლობა მოუტანოს როგორც ოჯახს ისე საზოგადოებას! რომ ამაში დავრწმუნდეთ, რომ დავინახოთ ბუნებითი უპირატესობანი ქალისა, ცოტა თვალი გადავავლოთ იმ დროს, როცა ქვეყნად ცხოვრებდა უფალი ჩვენი იესო ქრისტე. ქრისტეს პირველ და გულმოდგინე მიმბაძველთა შორის ჩვენ ვხედავთ ქალებს. მათი რიცხვი, ალბად, დიდი იყო, მაგრამ სახარებაში მარტო ზოგიერთების სახელია მოხსენებული „მენელსაცხებელ დედათა“ სახელით, ეს ქრისტესათვის თავდადებულნი დედანი ყველგან თან სდევდნენ ქრისტეს და ისმენდნენ მის ღვთაებრივ სწავლას. ზოგიერთი მათგანი თავიანთი მამულიდან ქრისტეს და მის მოწაფეებს უზრუნველყოფენ დღიურ საზრდოს. როცა ქრისტეს გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა, და როცა მაცხოვრის მოწაფენი თავზარდაცემულნი გაიქცა-გამოიქცნენ, სწორედ ამ დროს მენელსაცხებელნი დედანი იჩენენ მსურვალე სიყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულნ ქრისტესადმი. იგინი არ შორდებიან ქრისტეს, მწარე ცრემლით უკან მისდევენ ქრისტეს გოლგოთაზე, და ქრისტეს წამების დროს რჩებიან იქ. ვერავინ ვერ მოაშორა იგინი ღვთაებრივ წამებულს. მზე ბნელდება, მიწა იძვრის, მაგრამ ეს „სხეულით სუსტნი, მაგრამ ძლიერნი სიყვარულითა ქრისტესადმი“, დედანი მოუშორებლად დგანან ჯვართან. მათ დალალულობა ალარ ახსოვთ. მათ არ აშინებს უზრდელი მცველების შეურაცხება, ისინი არ შიშობენ, რომ ქრისტეს ასეთი ცხადი თანაგრძნობისათვის მათ ურიათაგან მოელოდათ სასჯელი. ისინი მარტოდა ფიქრობენ ქრისტეს ვნებაზე. და რადგან არ შეუძლიანთ მოგზმარონ ჯვარცმულ ქრისტეს, ამიტომ მასთან ერთად წვალობენ და განუშორებლად დგანან ჯვართან. მაგრამ აი კიდევ უკანასკნელი ამოოხვრა—და ქრისტეს წამება დასრულდა! მაგრამ მენელსაცხებელნი დედანი სიკვდილის შემდეგაც არ სტოვებენ თავის მასწავლებელს! იგინი რჩებიან ჯვართან შვენიერი იოსების და ნიკოდიმოსის მოსვლამდე. დედანი ეხმარებიან მათ იესოს სხეულის ჯვარიდან ჩამოღებაზე, და უკანასკნელ ალერსს აქცევენ, თუ სად დაასაფლავებენ მათ მასწავლებელს. მათ შენიშნეს, რომ სიჩქარისა გამო ბევრი რამ წესები ვერ შეასრულეს—ქრისტეს სხეული არ უცხიათ კეთილსუნნელოვანი მირონით. ამიტომ მათ მოიტანეს მირონი და დილით ადრე, მზის ამოსვლამდე მ ეშურებიან ქრისტეს საფლავისაკენ ⁂ სხეულებით არ ფიქრობენ, რომ საფლავის მცველებმა შეურაცხება რამ არ მიაყენონ მათ. მათი ფიქრი მხოლოდ ისაა, თუ ვინ გადაუგორებს მათ საფლავის ქვას. ასე ძლიერი და დიდია ჭეშმარიტი სიყვარული!.. და ეს სიყვარული არც გაწბილებულა! როცა მენელსაცხებელნი მივიდნენ საფლავთან, ქვა უკვე გადაგორებული იყო საფლავისაგან და საფლავის კარებში იდგა ანგელოსი, რომელმაც, როცა შენიშნა დედათა გაკვირვება, რქვა მათ: ნუ განკრთებით, იესოს ეძიებთ ნაზარეველს ჯვარცმულს: აღსდგა; არა არს აქა. არამედ წარვედით, და უთხართ მოწაფეთა მისთა, ვითარმედ აჰა ეგერა წინა-გიძღვის თქვენ გალილეასს, მუნ იხილოთ იგი (მარკ. 15; 5—7). ამ სახით თავისი მსურვალე სიყვარულისათვის მენელსაცხებელნი დედანი ღირსნი შეიქმნენ თვით უდიდესი სიხარულისა! ჰირველად მათ გაიგონეს ქვეყანაზე თვით უდიდესი და ფრიად სასიხარულო ამბავი: „ქრისტე აღდგა!“ ჰირველმა მათ აცნობეს ქვეყანას ეს ამბავი!..

ასეთები იყვნენ სახარებაში მოხსენებულნი დედანი! განა ჩვენ ქრისტიანე ქალებს არ შეუძლიათ მიბაძონ მათ? როგორ არა, თუ კი იგინი თავს მიანებებენ ამაო წუთისოფლის სიამოვნებათა და გადაჰრანჯული მორთულობა-მოკაზმულობაზე უმეტეს ზრუნვას, თუ შეიგნებენ ჭეშმარიტ მიზანს თავიანთი ცხოვრებისას, თუ შეიყვარებენ გაუჭკნობელ სიშვენიერეს ზნეობითი სიკეთისას, რომლითაც ასე ავსილია ქალის გული, თუ დაეფასებენ და შეიგნებენ თავიანთ დანიშნულებას, რომელსაც უჩვენებს მათ თვით ბუნება. თუ ამას მოიქმედებენ. მაშინ მენელსაცხებელ დედათა მიბაძვა ადვილი საქმე იქნება. და რის გაკეთება არ შეუძლია ამგვარ ქრისტიანე ქალს? თუ ქმრიანია, იგი მუდამ ერთგული იქმნება თავის ქმრისა. იგი ქმრის საცხოვრებელს არ დახარჯავს უბრალო მორთულობა-მოკაზმულობასა, გასვლა-გამოსვლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და სხვა სიამოვნებაზე. არც ავადმეოფობის და არც სიღარიბის დროს ასეთი ქალი არ მიატოვებს ქმარს; იგი ქმრის გულისათვის დაითმენს ყოველივე გაჭირვებას, რადგან იცის, რომ ქმარი მოუვლინა მას ქრისტემ, რომელიც მას გულით უყვარს, ასეთი ქალი შეეთვისება არა მარტო კაი ქმარს, არამედ მას ეყვარება გულფიცხელი, მსმელი და ზნეობითად გაფუჭებული ქმარიც-კი. და რამდენადაც იგი უმეტეს ნაკლულევანებათ შენიშნავს თავის ქმარში, იმდენად უფრო ეცდება, რომ იგი გაასწოროს. და ბევრში ერთი ამგვარი ქმარიც რომ გასწორდეს და ჭკვიანიტ გზას დაადგეს, ესეც დიდი ღვაწლი იქნება ღვთის წინაშე...

მცხეთაში ყოფნა.

ამ მიმავალ ბრწყინვალე აღდგომის კვირაში იმერეთიდამ ჩამოვიდა ერთი ჩემი მახლობელი ნათესავი, ღვთის მოსავი მოხუცებული აზნაური თავისის მეუღლით და მთხოვა მცხეთაში წავყოლოდი სანახავად, რადგანაც მას ჯერ არ ენახა ჩვენი პირველი დედა-ქალაქი და მისი საკვირველი საეკლესიო საუნჯენი, მეც აღვუსრულე თხოვნა და 14 აპრილს წავედით.

მოხუც აზნაურს სურდა წირვისთვის მიესწრო მცხეთის ტაძარში და ამიტომ ძლიერ იჩქაროდა. ტფილისის რკინის გზის სადგურზედ დროზედ მივედით, მაგრამ იმდენი ხალხი მოგროვილიყო, რომ ტევა აღარ იყო. ყველანი ბილეთების აღებას ეშურებოდნენ, მაგრამ ზოგმა მაინც ვერ მოასწრო. როგორც-კი ზარის პირველი ხმა გაისმა, სადგურის ოთახებში მომწყვდეულმა ხალხმა იგრიალა თავიანთი ნივთებით და მიაწყდა მატარებლის კარებს. კარგა ხანი გავიდა, ვიდრე ხალხი შელაგდა. ვინც მოასწრო ადგილის დაპერა, ხომ დაჯდა, ვინც არადა, ფეხზედ იდგნენ, ისიც ზოგნი გასავლელ ადგილას, ზოგიც წინა-უკანა კარებთან. ამავე დროს მატარებლის კედლებზედ, თითქო დასაცინლად, დიდი ასოებით ეწერა: „только 28 мѣстъ". ის-კი არადა, თითო ოთახში სამოცზედ მეტი ქალი და კაცი იყო მომწყვდეული. ჩვენ კიდევ მითი ვანუგეშებდით თავს, რომ ძალიან მოკლე გზა გვქონდა გასავლელი, მაგრამ წარმოიდგინეთ მათი ყოფა ასეთ მდგომარეობაში, რომლებიც შორს მიემგზავრებოდნენ!

როგორც-კი გაჩერდა მცხეთის სადგურთან მატარებელი, საჩქაროდ ჩამოვედით, დავიქირავეთ ეტლი და გავეშურეთ მცხეთის ტაძარში წირვის მოსასმენად. მაგრამ, სამწუხაროდ, იმედი გაგვიცრუვდა. ტაძრის კარები დაკეტილი იყო და, არა თუ ტაძარში, გალავანშიაც-კი არავინ სჩანდა, სამიოდე ბალღის მეტი. ძლივს ვიპოვეთ მცველი ტაძრისა და ვთხოვეთ ტაძარში შევეშვით. ამ დროს ტაძრის უმცროსი მღვდელიც მობრძანდა.

—წირვა გათავდა-განა, მამაო? დავეკითხეთ ჩვენ.

—წირვა სრულიად არა ყოფილა, გვიპასუხა.

—რა მიზეზია?—დავეკითხეთ.

—წირვა-ლოცვა აქ მხოლოდ შაბათ-კვირაობით გახლავთ და მაშინაც გვეპირდება სებისკვერის დაბარება ტფილისიდგან, არა თუ სხვა დროს.

ცხადია, ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა!—იმ დროს, როცა მთელ საქართველოში იკრიბება წვლილი სვეტი ცხოვლის ტაძრის განახლებისთვის, თვით ტაძრის მღვდლებს ვერ მოუხერხებიათ წირვისათვის საჭირო სებისკვერი მოიპოვონ, თუნდა ეკკლესიის ხარჯით, და აღდგომის კვირაში, როცა ტფილისიდგან ყოველს დღეს მლოცველები მიდიან, ტაძრის ბჭენი დახშულნი არ იყვნენ და წირვა ლოცვა სრულდებოდეს იმ ტაძარში, სადაც ესოდენი შესანიშნავნი მეფენი და წმინდა მამანი განისვენებენ! ეს ბრწყინვალე აღდგომის დღეები ხომ ისეთი დროა, როცა ყოველს ეკკლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიაში ზარების რეკვაა და წირვა-ლოცვა სრულდება. მრავალ ჯერ ვყოფილვართ ასეთ დროს წინა წლებში მცხეთაში და გვინახავს, რომ ყოველს ღღეს წირვა სრულდებოდა. უკეთუ სოფლის მღვდლები ახერხებენ სების კვერის მოპოებას, მცხეთაში უფრო ადვილი არ არის, სადაც მატარებელი ტფილისიდამ სამჯერ მაინც გაივლის ღღეში? ესეც არ იყოს, მცხეთაში, სვეტი-ცხოვლის ტაძრის მახლობლად არსებობს დედათა მონასტერი, სადაც 20-დის მონაზონი სცხოვრობს. ნუ თუ არც ერთმა მათგანმა არ იცის სებისკვერის მომზადება.

როცა გაიღო ტაძრის ბჭენი და შიგ შევედით, მთელი გუნდი მტრედებისა აფრინდა და გაექანა გუმბათის ფანჯრებისაკენ.

შევედით ტაძარში, ვილოცეთ და მოწიწებით დავათვალიერეთ ყოველივე. შიგნით ტაძარი ისე მოქმედებს მნახველზედ, თითქოს ეს არის, ეხლა გათავებულიყოს მტრის შემოსევა და ტაძრის გაძარცვა.

ჯერ კიდევ ტაძარში ვიყავით, როცა მოვიდნენ ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიის მოწაფენი თავიანთი ინსპექტორითა და მთავარი მანდილოსანით. რასაკვირველია, იმათაც სამწუხაროდ დაურჩათ, რომ წირვა არ იყო და ძლიერ გაუკვირდათ. პარაკლისის შემდეგ შეუდგნენ ტაძრის დათვალიერებას. ყველაზე უმეტეს გააკვირვა მნახველები ორმა ძველმა მხატვრობამ, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ქრისტეს ჯვარზედ მიმჭვალვას, ხოლო მეორე—გარდამოხსნას. ეს ხატები, როგორც ამბობენ, ენდა იყვნენ გადმოღებული თვით უკვდავის მხატვრის რაფაელის მიერ დახატულ დედნებიდგან.

სვეტი-ცხოველის ტაძრიდგან წავედით დედათა მონასტერში. ყველაზედ უწინ ვნახეთ პატარა ეკლესია, რომელიც აგებულია იმ ადგილს, სადაც წმ. ნინო იმყოფებოდა და ლოცულობდა იმ დროს, როცა მეფე მირიანი ნადირობის შემდეგ დაბრუნდა, თაყვანი სცა წმ. ნინოს ვაზის ჯვარს და განაცხადა სურვილი გაქრისტიანებისა. ამ პატარა ეკლესიის გვერდით ეხლა შენდება უფრო მოზრდილი ეკლესია, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული.

დიდი ტაძარი სამთავრისა დაკეტილი დავეხდა. წირვა არც იქ ყოფილა იმ ღღეს, თუმცა ამ ტაძართან, წინამძღვრის გარდა, ოცამდის მონაზონი სცხოვრობს და იქვე ქალთა სკოლაც არსებობს. ამ ტაძარში ღვთის-მსახურების აღსრულება სვეტი ცხოვლის ტაძრის მღვდლების მოვალეობას შეადგენს.

ჩვენის თხოვნით მოხუცებულმა მონაზონმა გაგვიღო ტაძრის კარები. შევედით, ვილოცეთ და ხატებს ვემთხვიეთ. ეს ძვირფასი ტაძარი ღღეს სწორეთ რომ სამწუხარო სურათს წარმოადგენს. გუმბათი და მაღლა კედლები სინოტიესაგან მეტისმეტად დაზიანებულია. საკვირველია, რომ ამ ტაძრის ასეთ საშინელ მდგომარეობაზედ ღღემდის ხმაც არავის ამოუღია!

ვნახეთ ტაძრის დასავლეთ კუთხეში ის, ყველა ქართველისათვის ძვირფასი ადგილი, სადაც მეფე მირიანი და მისი მეუღლე დედოფალი ნანა არიან დაკრძალულნი. იმათი საფლავის იატაკი ისეთივე წამხდარია, როგორც მთელის ტაძრის იატაკი. არც ლოდი, არც არავითარი ზედ-წარწერა არ მოიძევება მათ საფლავზედ. („ივ.")



30 ეროვნული ბიბლიოთეკა

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების მე-39-ტე კრება ქ. ქუთაისში 15, 16, 17, 18 და 19 დეკემბერს 1899 წ.

გაგრძელება *)

ჩვენ წინა №-ში მოვიხსენიეთ, რომ კრებამ აირჩია სამი მღვდელი, რომელთაც რევიზია უნდა მოეხდინათ საეპარქიო საეკლესიო ნივთების საწყობში, დეკანოზ დ. ღამბაშიძემ სთხოვა კრებას, რომ რევიზიის მოსახდენათ არ დაენიშნათ ისეთი პირნი, რომელთაც რაიმე კერძო პიროვნული ანგარიშები აქვსთ მასთან. ასეთი თხოვნა კანონიერი იყო, რადგან ღღეს ზოგიერთები ძლიერ გატაცებულნი არიან შურით, სიხარბით; ასეთი პირნი ყოველთვის მზად არიან დაამცირონ მათი მოწინააღმდეგის კეთილი მოღვაწეობა. იგინივე ცდილობენ, რომ კეთილად ნამოქმედარი საქმე უკეღმართად აჩვენონ და საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ. სამღვდელოების კრებამ მაინც და მაინც დიდი ყურადღება არ მიაქცია დეკ. დ. ღამბაშიძის კანონიერ თხოვნას. დანიშნა კომიტეტის წევრებად ახლად ნაკურთხი მღვდელი იოაკიმ მოდებაძე, რასაკვირველია, იმ აზრით, რომ იგი უკანასკნელ დროამდე შავი ქვის „პრიკაზჩიკად“ იყო და ანგარიშები კარგად ეცოდინებაო, მღ. იუსტინე ტაბიძე, პირველი მოთავე, რომ სანთლის ქარხნის გამგეობა მ. ბლაღოჩინს ი. ჭეიშვილს მიცემოდა და მღ. დათუნაიშვილი. ეს მამანი წავიდნენ საწყობში, შეამოწმეს ყველა ნივთები, შემდეგ წიგნები წაიღეს და შეუდგნენ ანგარიშის შედგენას. მაგრამ შავი ქვის წარმოების საქმე და ამ საწყობის საქმის წარმოება ერთი და იგივე არ ყოფილა და ამიტომ კომიტეტმა დეკ. დ. ღამბაშიძისაგან მოითხოვა რამდენიმე ცნობა, რომ მათ საქმე გაეგოთ კარგად. დეკ. დ. ღამბაშიძემ და საწყობში მჯდომმა განუმარტეს კომიტეტს ყველაფერი, რაც მათთვის საჭირო იყო და მერე წავიდნენ, ჩაიკეტენ ერთ ოთახში და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, შეუდგნენ კრებისათვის მოხსენების შედგენას.

კრებას წარდგენილი ჰქონდა ანგარიში საწყობის მმართველისაგან. როცა დეკ. დ. ღამბაშიძე კრებაზე იყო, თავმჯდომარემ, ზოგიერთი პირების წყალობით და გავლენით, არ წაიკითხა არც სარევიზიო კომიტეტის მოხსენება და არც დეკ. დ. ღამბაშიძისაგან წარდგენილი ანგარიში. როცა შეიტყეს, რომ დეკ. დ. ღამბაშიძე ყვირილაში წავიდა საქმისა გამო და მხოლოდ საღამოზე დაბრუნდება ქუთაისშია, მის მოსვლადმდე შეუდგნენ საწყობის საქმეთა განხილვას. მის ნაცვლად, რომ პირველად დეკ. დ. ღამბაშიძის ანგარიში წაეკითხა თავმჯდომარეს კრებისათვის, მან წინადადება მისცა კომიტეტის წევრთ, მათი მოხსენება წარედგინათ კრებისათვის. კრების წინ დიდის ამბით წარდგა დეპ. მღვ. დათუნაშვილი და წაიკითხა მოხსენება.

ამ მოხსენებაში ფშიდა მამები აცნობებდენ კრებას, რომ ბუღგალტერიის ანგარიშები კანონიერად არ ყოფილა წაყვანილია, ბევრგან წერტილები და ზოგან ძმიმეები აკლია ჩაწერილ სტატიებს. ერთი სიტყვით, ჩვენ ძლიერ დავმაშვრალდით და შევიტყეთ იმისთანა ამბავი, რომელსაც თქვენ არც ერთი, რასაკვირველია, ვერ წარმოიდგენდითო. დეკ. დ. ღამბაშიძეს ყვირილის საეკლესიო საწყობის ნივთები გადმოუტანია ეპარქიის საწყობში, თითქმის, ორი ათასი მანეთის ნივთები და ფულიც კი აუღია საწყობიდან. ამ ნივთებს აგერ ორ წელიწადში საწყობისათვის მიუცია სარგებლობა 31 მან. და 47 კ.(!?) გაყიდულა სულ 210 მან. და მანეთზე 15% მიუცია სარგებლობა საწყობისათვისო.

ცხადია ყველასათვის, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა კრებაზე ეს განზრახ ყალბად შედგენილი ანგარიში ამ ფშ. მამათა. მაგრამ ამასაც არ დაჯერდენ. მამა იოაკიმე მოდებაძემ, რომელსაც დღემდე არ გამოუჩენია თავის მჭევრმეტყველობა, ეხლა გასაკვირვლად გამოიჩინა თავი. იგი მიუბრუნდა დეპუტატებს შემდეგი სიტყვებით: „მამანო დეპუტატნო, მე უნდა მოგახსენოთ, რომ ყვირილის საეკლესიო ნივთების საწყობიდან რომ არ გადმოეტანა ღამბაშიძეს ნივთები, ჩვენი საწყობი აყვავდებოდა და გამდიდრდებოდა, მაგრამ ამ ნივთების გადმოტანას დაუღუპავს იგი და დიდი ზარალი მიუცია. წარმოიდგინეთ, განაგრძო მან, თითქმის ორი ათასი მანეთის საღირალი ნივთები გადმოუტანია და გაყიდულა რაღაცა 210 მანეთის მარტო და საწყობს ამ ნივთებისაგან შემოსვლია მოგება 31

*) იხ. „მწყემსი“ 1900 წ. № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანეთი და დანარჩენი ფულებით კი დეკ. ლამბაშიძეს უსარგებლნია. ჩემის აზრით ეს ნივთები უნდა დაუბრუნდეს მას და ფულები ათას ექვსას მანეთამდე გარდახდეს. ამ ფულებით საწყობის საქმეს ვინც იცნობა, ყველა კარგად წაიყვანს. დიდათ მოუწონეს ზოგიერთებმა მამა მოდებაძეს მისი ამგვარი მოხსენება. რადგან დეკ. ლამბაშიძე ამ დროს კრებაზე არ იყო, რასაკვირველია, კრებას უნდა მოეცადა ლამბაშიძისათვის და უნდა მოესმინა მისი პასუხიც. თუ კრება ამას არ ინებებდა, მაშინ უნდა წაეკითხა ლამბაშიძისაგან წარმოდგენილი ანგარიში და წიგნებზე უნდა შეემოწმებიათ. მაგრამ თავმჯდომარემ დიდი გამოუცდელობა გამოიჩინა, როგორც თვითონ აღიარა. არც ანგარიში წაუკითხა კრებას და არც რიგიანი მსჯელობა გამოიჩინა როგორც მან ისე კრების დეპუტატებმა, რომ შეეტყოთ სიყალბე როგორც კომიტეტისა ისე შავი ქვის წარმოებაში დახელოვნებული კაცის მიერ წარმოთქმული სიტყვისა. თუ კაცს მთლად არა აქვს გონება დაჩლუნგებული, იგი ადვილად მიხვდება, არის თუ არა სმართლე მ. ი. ბოდებაძის სიტყვაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ამისთვის არც თავმჯდომარეს და არც დეპუტატებს თავიანთ შეუწუხებიათ და გადაწყვიტეს გადახდეს დეკანოზ დ. ლამბაშიძეს 1715 მ. 72 კ. და თავისი ნივთები დაებრუნოს უკანვე. დიდის თანაგრძნობით მიეგებნენ ამ დადგენილებას ტაბიძეები, მოდებაძე, ჭეიშვილი, ფხაკაძე ღა მათნი ერთგულნი და მოყვასნი.

მეორე დღეს დეკ. დ. ლამბაშიძემ მოსთხოვა თავმჯდომარეს, თუ რატომ არ წაუკითხა მან კრებას მისგან წარმოდგ-ნილი ანგარიში. მასთან სთხოვა, რომ პასუხი მიეღო რევიზიის კომიტეტის მოხსენების შესახებ და საზოგადოდ მსჯელობა მოეხდინა ამ საგანზე, მაგრამ თავმჯდომარემ არ ინება ხელახლად განეხილათ ეს კითხვა. ამისათვის დეკ. დავით ლამბაშიძემ სხვებთან ერთად წარადგინა თავისი პასუხი კომიტეტის მოხსენებაზე და ითხოვა, რომ ეს პასუხი კრების ჟურნალთან ერთად წარდგენოდა მღვდელ-მთავარს. აი ის პასუხი, რომელიც დეკ. დ. ლამბაშიძემ და ცამეტმა დეპუტატმა შეიტანეს „კრებაში „წარსადგენელად ჟურნალთან ერთად:

«1885 წლიდან დ. ყვირილაში მღვდელ-მთავარის ნებართვით და დეკ. დავით ლამბაშიძის თაოსნობით დაარსდა საეკკლესიო ნივთების საწყობი. 1894 წ. ქ. ქუთაისში მღვდელ-მთავრის ნებართვითვე დეკ. გ. ცაგარეიშვილმა გახსნა მეორე საწყობი საეკკლესიო ნივთებისა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ დეკ. ცაგარეიშვილმა თავი დაანება ამ საწყობს და სამღვდელოებას გადასცა. საწყობის მმართველად დაინიშნა სობოროს იპოდიაკონი ივლიანე წერეთელი. რიგი და მართებულიც იყო, რომ ყვირილის საწყობის ნივთები ან ამ ეპარქიის საწყობს მიეღო ჯეროვანის ფასებით და ან დრო მიეცათ ყვირილის საწყობისათვის, რომ მას მოტანილი ნივთები გაეყიდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ქუთაისის საწყობმა არც ნივთები მიიღო ყვირილის საწყობიდან და არც ამ ნივთების გაყიდვის ნება მისცეს კერძო პირებზე. ერთი წლის შემდეგ ივლიანე წერეთელმაც მიატოვა საწყობის მართვა-გამგეობა და სამღვდელოებას გადასცა საწყობი და ექვსი ათასი მანეთი ვალი. სამღვდელოება ბევრი ეხვეწა მ. ივლიანე წერეთელს, რომ იგი ისევ დარჩენილიყო საწყობის მმართველად, მაგრამ არა ჰქნა. არც არავინ სხვამ ითავა ამ საწყობის მართვა-გამგეობა. საწყობის დახურვა კი საზარალო იყო სამღვდელოებისათვის, რადგან საწყობის ნივთები ხუთი ათასი მანეთისა, ოთხი ათასადაც არ გაიყიდებოდა და უფულოდ საწყობის წარმოება არ შეიძლებოდა, რადგან საწყობს არ გააჩნდა სულ უსაჭიროესი ნივთებიც კი. მაგალ. საწყობში არ იყო გვირგვინები, ჭუსუბები, სანათლებო კოლოფები, საიაზმეები, დაფარნები და სხვა ამისთანა საჭირო ნივთები. ამავე დროს საწყობში სირმები და ფარჩები 1500 მანეთის იყო მოპოებული. კრებამ სთხოვა დეკ. დ. ლამბაშიძეს, რომ მას ეთავა საწყობის მართვა-გამგეობა. მანაც პატივი სცა კრების თხოვნას და მიიღო საწყობი. ვინაიდგან საწყობს ფული არ გააჩნდა საჭირო ნივთების გამოსაწერად, მან თავისი საწყობიდან გადმოიტანა ნივთები ორი ათას მანეთამდე. ამ გადმოტანილი ნივთებიდან ყველა გაიყიდა, გარდა ხუთასი მანეთის და მოგება მანეთზე 20% საწყობს დარჩა. საწყობმა ამ გადმოტანილი ნივთებიდან ხელი გაიმართა. დეკ. ლამბაშიძის მართვა-გამგეობის დროს საწყობმა გაისტუმრა, როგორც ეს ცხადათა სჩანს ანგარიშისაგან, ძველი მმართველისაგან დატოვებული ფული ორი ათასი მანეთი და ზედმეტი საწყობს გაუჩინა ათას ხუთას ორმოცდა თორმეტი მანეთის ქონება. კაცობრიული გრძნობა და გონება მოით-

ხოვს, რომ ამისთანა მოქმედებისათვის კაცს მადლობა გამოეცხადოს და არა საყვედური, რომელიც გამოიხატება კრების ჟურნალური დადგენილებით: „რაც ნივთი მოუტანია საწყობში, უკან წაიღოსო». არ გვესმის ზოგიერთების უაზრო და უკანონო მსჯელობა ამ საწყობის შესახებ. ამისთვის ვითხოვთ: 1) საწყობი ჩაბარდეს ყველა ნივთებით მას, ვისაც ირჩევს სამღვდელოების კრება, 2) მმართველმა ნივთებისაგან შემოსული ფულები მიაქციოს ვალების გასასტუმრებლად, 3) მმართველმა არას დროს სანთლის ფულებიდან და ან სხვა ნასესხები ფულებით არ გაისტუმროს საწყობის ვალები, არამედ აწარმოოს საქმე ისე, როგორც აწარმოებდა დეკ. დავით ღამბაშიძე, ფულების უსესხებლად. და 4) დასდვას ხელწერილი მმართველმა იოსებ ჭეიშვილმა და მისმა ამხანაგებმა, თუ რაიმე ფულების გაფლანგვა მოხდა საწყობში, ან ნივთები თუ დაიკარგა, მაშინ ყოველ ზარალს თავიანთ თავზედ იღებენ და სამღვდელოებას არავითარი ზარალი არ მოეთხოვება, და იგი თავისუფალი იქნება ყოველივე გადასახადისაგან. ამასთან დაედგინოს ვალად მმართველს შემდეგ კრებაზე წარმოადგინოს სია დარჩენილი ნივთებისა, ჩვენებით—ვისგან და როდის არის მოპოებული ნივთები და რა მიზეზით არ გაიყიდნენ იგინი.

ამ ქაღალდს ხელს აწერს 13—14 დეპუტატი.

მწარე ფიქრები.

(გაგრძელება*)

ავიღოთ ეხლა მეორე ჩვენი საერო გაზეთი «კავალი». სააღდგომო ნომრის სხვა და სხვა სტატიებში თქვენს ყურადღებას იქცევს ერთი ვინმე ქალის, განდეგილად წოდებულის, სტატია ამ სათაურით: „იის კონა". ეს ქალბატონიც, რასაკვირველია იმდენად გაცნობილია სახარების საღვთის-მეტყველ. სწავლას, რამდენადაც მე და შენ ჩინური ენა ვიცით, მკითხველო. ერთს სიტყვას მიუცია მისი ფანტაზიისათვის აუარებელი მასალა. მოგვყავს ამ სტატიიდან რამდენიმე ადგილი:

„ორივ ხმა-გაკმენდილები ისხდენ, თითქო ეშინოდათ რისამე თქმისა. სახე გადაფითრებული ყმაწვილი ქალი ღრმად ჩაფიქრებული დასჩერებოდა იატაკს და თუ სიცოცხლის ნიშანი რამ კიდევ-ღა ეტყობოდა იმის გამხდარსა და გაყვითლებულ სახეს.

რა ბედნიერი იყო მაშინ, როდესაც პირველათ «ის» დაინახა! აი, ამ წუთშიაც თვალ-წინ წარმოუდგა სიცოცხლით სავსე ახალგაზდა კაცი, რომელსაც მთელი ქვეყანა აღტაცებით ეგებებოდა; მოაგონდა იმისი საღმრთო მადლით გაძლიერებული გულის წარმტაცი მიმოხვრა, ფართოთ გადაშლილი მშვენიერი შუბლი, სიყვარულისა და სათნოების გამომეტყველი თვალები, ატმის ყვავილივით შეფეროდებული ლოყები და მასთან ახლათ აშლილი ულვაშები... რა მომხიბლავი იყო, როდესაც სახე გაბრწყინვებულმა, ტკბილი ხმით წარმოთქვა: „მშვიდობა თქვენდა!"-ო.

„მერე სად არის „მშვიდობა"?—გაიფიქრა ქალმა—ჩემ სულიერ მშვიდობას თან გაჰყვა ხორციელი მშვიდობაც და ამათ ნაცვლათ მთელი ჯოჯოხეთი მიტრიალებს გულში... ნეტარების მაგიერ ტანჯვის ქსელში ვარ გახვეული .."

მართლაც, ცოტა ტანჯვა არ გამოუვლია საცოდავ ქალს! პირველი დანახვითვე ქედი მოიხარა «იმის» წინაშე, ბატონობას ჩვეული გული მონობის ჯაჭვით შებოჭვილი მიუძღვნა „იმ" ტაძარს და თუ აქამომდე ამ ძლიერ ტანჯვას უმსუბუქებდა რამ,—ეს მოგონება იყო წარსულისა, მოგონება იმ ნარნარი სიტყვებისა, რომელიც ამის ყურებს ჩასწვდა: «მშვენიერებავ! ხატება შენი სარკეა შენი სულიერი მშვენიერებისაო". მოაგონდა ყმაწვილი კაცის მოციმციმე თვალები, რომელიც ამ სიტყვასთან ერთათ საოცრად დააშტერდა იის ყვავილებს.

—რატომ გაწითლდი, ჩემო ძვირფასო? დღეს როგორა გრძნობ თავს?—მზრუნველობით შეეკითხა აქამომდე ჩუმათ მჯდომი კაცი ქალს, რომლის სახეს მართლაც უჩვეულებრივო სიწითლე დაეტყო.

—უფრო ცუდათ!—ძლივს გასაგონათ ჩაილაპარაკა ქალმა და წამოდგა.

—შენ ამბობ, რომ არავითარი ხსნა არ არის იმისთვის?.. ხმის კანკალით შეეკითხა ქალი.

—ხალხის სურვილია და ამ სურვილს თანაუგრძნობს თვით კეისარიც. მისგან თანაგრძნობა კი

---

*) იხ. „მწყემსი" № 8, 1900 წ.

უზენაესი დასტურია, ჩემო კარგო... შენ რატომ მაგრე საშინლად გაღელვებს ეს ამბავი! ხომ არ გგონია, რომ მეც მონაწილე ვარ ბრბოს მოკვლედ-ბისა?

ყველას ეძინა. ის-კი სარკმელთან ჩამჯდარიყო, ძველ-ტყავად ქცეული ხელები თავზე შემოედო და გულ-საკლავად ქვითინებდა. გაძლიერებული ბოღმა ცეცხლის ბორბალივით დაუტრიალდა მთელ ტანში. ხოლო სასოების ზღვა ერთ ცვარსაც არ იმეტებდა ამ ცეცხლის გასანელებლათ.

—ჩადრები უკვე მოვიტანე,—წაუჩურჩულა ახ-ლათ მოსულმა მოახლემ მთელი ტანით მთრთოლვა-რე ქალს,—ბატონიც გულის ძილშია, ისე ხვრინავს, თითქო ყელში თოკი წაუჭერიათ და ახრჩობენო. ნუღარ დავიგვიანებთ, თვარა საცაა გათენება მოა-ტანს და არ ივარგებს...

—ოჰ, რა კეთილი ხარ, ჩემო ძვირფასო! შენ-ღა დამრჩენიხარ ერთათ-ერთ ნუგეშათ... შენ მი-ტკბობ გამწარებულ სიცოცხლის უკანასკნელ წა-მებს... ბუტბუტებდა საბრალო ქალი და თან ჩა-დრში ეხვეოდა.

—სულ ცრემლით გაწუწული ხართ, ქალბა-ტონო! განა უფრო კარგი არ იქნებოდა, რომ ეგ ცრემლები იმის საფლავზე დაგეფრქვიათ? ღმერთო ჩემო, მთელ სახეზე ალმური გედებათ!.. ოჰ, რო-გორ იტანჯებით!—შელაპარაკობდა თექვსმეტ-ჩვიდ-მეტი წლის მოახლე თავის ქალბატონს და ცდი-ლობდა ცოტათი მაინც დაემშვიდებია იმისი აღ-შფოთებული სული.

ორივემ ჩუმათ ჩაიარეს კიბე, გასცდენ პატარა ბაღჩას და ჩქარი ნაბიჯით გაუდგენ გზას... ნა-ხევარზე მეტი გზა გაიარეს კიდეც... ქალი შედგა, შუაღამის სიბნელეში, გიჟივით მიმოავლო თვალები არე-მარეს, თითქო ეშინოდა, ხომ არავინ მომდევსო.

—ივდითი, შენ ხომ ვერაფერს ამჩნევ! მგონი ვიღაც აგვდევენა.

—არა, ქალბატონო, მე ყური ფრთხილათ მი-ჭერავს, მაგრამ ალამიანის ჭაჭანება არსაიდან არ ისმის.—დაიმედა ივდითიმ მსაჯულის მეუღლე.

აგერ მივიდენ კიდეც დანიშნულ ადგილს. ქალი თრთის, სული ყელში ებჯინება... პირველათ მიდის „იმასთან“ და ეს მისვლა უკანასკნელიც იქ-ნება... თავ-განწირული დაემხო სამარის ლოდს და თავისი მწველი გრძნობები, ცრემლში შერეული, დააფრქვია მას. დიდ-ხანს ქვითინებდა ახალ-გაზდა ქალი, უნდოდა ერთხელ კიდევ გაეგონა „იმისი“ ტკბილი ხმა, მაგრამ უძრავი ლოდი სამუდამოთ ჰფა-რავდა იმას, ვინც თავისდა უნებურათ მიზეზი იყო ამ უბედური ქალის დაუძლურებისა... ივდითი იქვე მახლობლათ გაჩერებულიყო და ცრემლებს იწმენდ-და.

—ქალბატონო, მგონი ვიღაც უახლოვდება ამ ადგილს.—კრძალვით წაულაპარაკა ივდითიმ თავის ქალბატონს და თვალი ერთ მხარეს მიაპყრო.

—ვითომ იმან გააღვიძა და აგვედევნა?! აკი თქვი გულის ძილშიაო,—შიშით ამბობდა ქალი.

—არა, ის კი არა, დედაკაცი უნდა იყოს.. ოო, ეს მაგდალინელია... წავიდეთ, ჩქარა წავიდეთ...

—ესეც არ დამცალდა!.. გულ-მოკლული ჩაი-ლაპარაკა ქალმა, მხურვალედ ეამბორა ყინულივით ცივ ლოდს და საჩქაროდ მოშორდა ძვირფას სა-მარეს.

დილის რიჟრაჟმა მოატანა. აღმოსავლეთს ვერ-ცხლის ფერი დაედო.

მაგდალინელი გაშტერებული იდგა ჯვარცმულ-ლის საფლავთან, გულის ძიგძიგით იგონებდა ორ თეთრით მოსილ მიმავალ აჩრდილს და გონს მხო-ლოთ მაშინ მოეგო, როცა ლოდზე ქალის თმით კრულ პატარა იის კონას დაჰხედა...

პილატეს კი ისევ ტკბილად ეძინა, როდესაც იმისი ცოლი და ივდითი ფეხ-აკრეფით შეიპარენ სახლში“.

სწორეთ უბედურებაა, როცა კაცი დაიწყებს წერას იმისთანა საგანზე, რომელიც მას არ ესმის. განდეგილისაგან ამისთანა საგნებზე წერა ჩვენ მოგ-ვაგონებს ერთი გრაფის ცოლის თხოვნითი საუბარს მღვდელ-მთავართან ერთი უღირსი სემინარიელის კურთხევის შესახებ....

*
* *

ცუდს მაგალითს წარმოგვიდგენს დღეს ზოგიერთი ჩვენი ჟურნალ-გაზეთები და მწერლები. ჩვენი ახალი თაობა და ახლად დაბადებულნი ლიტერატორები აღტაცებაში არიან მოსულნი და ვაშა-ვაშას შესძახიან ზოგიერთ დღევანდელ რედაქტორებს და მწერლებს. მაგრამ ჩვენ-კი, ძველი გაზეთის მომსწრენი, ვწუხვართ, როცა ახალს გაზეთებს და ზოგიერთ მწერლებს ძველს ვადარებთ. მართალია, ძველ-ში ცოტა იწერებოდა, მცირე თანამშრომლები

ჰყვანდა, მაგრამ იწერებოდა ის, რაც საწერი იყო, ყველასათვის საინტერესო, საზოგადო სასარგებლო და საჭიროა. დღეს რას ვხედავთ? სულ სხვა მიმართულებას. საზოგადო და სასარგებლო საქმეებზე შემცირდა წერა, თვეში იქნება ორი-სამი რიგიანი სტატია წაიკითხოთ ამ გაზეთებში საზოგადო კითხვების შესახებ, დანარჩენი რაც კი რამ სწერია, სწორედ ყბად-ასაღები და წყალ-წასაღებია, როგორც „ივერია" უწოდებს ხოლმე ხშირად თავის ნაწერებს. ისეთი თვალთმაქცობა, ისეთი გონების არევ-დარევა, ისეთი მახინჯი ლოდიკური მსჯელობა, როგორსაც დღეს ზოგიერთ დღიურ და თვიურ ჟურნალებში შეხვდებით, არ მჯერა, რომ როდესმე ყოფილიყოს და ან შემდეგში იქნეს. და რა უწყობს ხელს ამისთანა მიმართულებას ჩვენში, ესრეთ წოდებული „მოღვაწეებისას". გაბედულად ვიტყვით, რომ ამისთანა უკუღმართ ლიტერატურულ მიმართულებას და ზოგიერთი მწერლების სიფლიდეს, მათ ჯამბაზობას და თვალთმაქცობას ეხმარება ამ ბ-ნ მწერლების ვინაობის დაფარვა და ღობეს ამოფარება. აბა გადაათვალიერეთ ჩვენი ერთი შესანიშნავი გაზეთის მწერლების ვინაობა. იშვიათად შეხვდებით ამ გაზეთში, რომ მწერალი გამოვიდეს და თავისი სახელი და გვარი გამოაცხადოს. ძველ დროში სტატიების ბოლოს მწერლების სახელსა და გვარს კითხულობდით. ეხლა კი მწერლების ნამდვილი სახელის და გვარის მაგიერ კითხულობთ: ჩიოარეს, უტხოჟლეს, ახალ მოსულეს, ორ-ანებს, კოტეს, გძელს, ფრონელს, ზურნას და სხვა და სხვა გამოგონებულ ფსევდონიმებს. მრავალნი დიდათ ბოროტობენ და მზაკვრობენ ამ პირბადის ჩამოფარებით. აიღეთ თუგინდ ეს ვიღაცა ბრძანდება ახალ მოსულია-ს სახელით. ბევრს ეგონება, რომ ვითომ ეს ახალ მოსული ვინმე ახალი მწერალი იყოს. მაგრამ ამ კაცის ნაწერი და მსჯელობა გვარწმუნებს ჩვენ, რომ ეს ახლად მოსული არ უნდა იყოს *). ამ ვაჟ-ბატონს ზედმიწევნით უნდა ჰქონდეს გავლილი ავლაბრის სკოლა, სადაც ავლაბრულ ზნეობას ასწავლიან. ამასთან მას ზედმიწევნით შესწავლილი უნდა ჰქონდეს ზოგიერთი ჩვენი მწერლების უკუღმართი მსჯელობა და ჭკუა-გონების დამბნევი ლოღიკა. ახალ მოსული ასე მალე როგორ შეისწავლიდა ყველა ამაებს. დიაღ, სწორეთ პირბადის ჩამოფარება, ღობეს ამოფარება, თავისი ვინაობის დაფარვა ეხმარება ზოგიერთ ჩვენ მწერლებს და ისინიც ასე გამარჯვებულად და არნეინად დაბრძანდებიან, თორემ ამ ბატონებმა რომ თავისი ვინაობა გამოაცხადონ, მათ, მერწმუნეთ, ქუჩაში გავლა არ შეეძლებათ... ან სადამდე შესძლებენ მკითხველ საზოგადოების მოტყუებას, არ შეიძლება ბოლოს ყველამ არ შეიტყოს, თუ ვინ ადგა ბოროტ გზას, უკუღმართ მიმართულებას, ვინ ატყუებდა მკითხველ საზოგადოებას და ვინ მოუთხრობდა მართალს და ჭეშმარიტებას.

*
* *

მოგეხსენებათ, რომ საზოგადოებას გასართობად ერთი რამ ახირებული ჩვეულება აქვს გამოგონილი. მოირთვებიან ეშმაკურად, ზოგნი კაცის სახეს დაიფარავენ და ცხოველების სახით მიდიან ამ დროს გასატარებელ სადგომში. კაცები ქალურად ჩაიცმენ და ქალები კაცურად. ამნაირად ატარებენ დროს, იმ დროს, რომელიც ფულია გონიერი კაცისათვის, იმ დროს, რომელსაც ღმერთი აძლევს კაცს მის სასიკეთოდ და საბედნიეროდ. მოგეხსენებათ, რომ აქ ზოგიერთი „მასკები" ძლიერ ბოროტად იქცევიან თავიანთი ვინაობის დაფარვით. აღარავისი რცხვენიათ და ყოველ სისაძაგლეს ჩადიან პირბადით. თავიანთი საძაგელი ყოფაქცევის გარდა სხვებს შეურაცხებასაც მიაყენებენ ხოლმე სიტყვით. სწორედ ამნაირად იქცევიან ჩვენი ზოგიერთი ვითომ-და მწერლებიც, რომელთაც ძლიერ ეშინიათ თავის ვინაობის გამოცხადება. თავხედ „მასკას" ხანდისხან ახდიან პირბადეს და შეარცხვენენ მას საზოგადოებაში მისი უკანონო საქციელისათვის. სწორეთ ესევე უნდა უყონ იმ მწერლებს, რომელნიც პსევდონიმების წყალობით თავგასულნი უკუღმართად სჯიან და მკითხველ საზოგადოებას თვალს უხვევენ და ატყუებენ და ამასთან მკითხველ საზოგადოებას უმტკიცებენ, რომ იგინი საზოგადოების სასარგებლოდ იღვწიან მაშინ, როდესაც მხოლოდ თავის თავზედ და თავის პირად სარგებლობაზე ფიქრობენ...

*
* *

განსვენებული გ. წერეთლის დიდებულ დასაფ-

*) ახალ მოსულს ,,სიახლე'' ეტყობა მხოლოდ ლანძღვა-გინების სიტყვათა—დექსიკონის, გამოგონებაში!... შენიშ. ასოთ-ამწყობ.

ლავებაზე ორიოდე პირმა სიტყვა წარმოთქვა. ამ სიტყვებში იმათ ჯეროვანად გაჰკიცხეს ერთი დღიური გამოცემის პატრონის, ბატონის და მეთაური მწერლის საქციელი, რომელიც განსვენებულს უჯეროდ და ურცხვად ალანძღვინებდა. ერთი სიტყვით, აშკარად დამტკიცდა, რომ ჩვენი საზოგადოება მართლა ჯერეთ იმდენად არ დაძაბუნებულა, რომ ვერ გამოიცნოს კეთილი მოღვაწე და ღობე-ყორეს ამოფარებული ტალახის მსროლელი რიგიანად არ მოიხსენიოს. მოსწყინდა, მართლა, საზოგადოებასაც ზოგიერთების ჩიჩინი: „ამის დაწერა ბატონს არ შეუტყვია, თორემ, რომ ცოდნებოდა, ის ამ სტატიას არ გაუშვებდა გაზეთში. მას ბევრი საქმე აქვს და ხშირად მისდა შეუტყობლად სწერენ იმისთანა რამეებს, რომელსაც ის არ ეთანხმება". და სასტიკად აუგეს ამ ორგანოს საქციელი და მიმართულება ზოგიერთ ჩვენ მოღვაწეების ლანძღვა-გინების შესახებ. როგორ თუ ჩვენს მიმართულებას შეეხენ, როგორ გაბედეს ჩვენი ნაწერების გამოქვეყნებაო, ჩვენ განსვენებულთან მარტო უბრალო პოლემიკა გვქონდაო და მოჰყვენ ჩვეულებრივ ყალბად თავის გამართლებას! რაც უნდა გვეთქვა და რაც უნდა გველანძღა განსვენებული, დასაფლავების დროს მაინც არ იყო რიგი, რომ რამე სიტყვა ეთქვათ და იმ პირების საქციელი გაეკიცხათ, ვინც წინაალმდეგი იყო განსვენებულისაო. დასაფლავების დროს არ იყო რიგი და მართებული საყვედურის გამოთქმისაო. გადაუშალეს ამ ბატონს და მიუთითეს მისგან წარმოთქმულ სიტყვაზე განსვენებულის ბ. ლოლობერიძის დასაფლავების დროს, რომელ სიტყვაშიც ნახმარია ისეთი სიტყვები, რომელთა მსგავსის თქმას დღეს არავინ არ იკადრებს!.. მერმე რა პასუხი გასცა ამ ბატონმა? გაჩუმდა, ხმა გაკმინდა. ან კი შეეძლო სიტყვის თქმა? გაიარა პ-ტარა ხანმა და დაიწყეს თავისებურად ყბედობა სულ სხვა საგნებზე. დიდის ამაყობით ამტკიცებდა: „უნდა ითქმოდეს ფორმა ქუდისა და არა ქუდის ფორმაო!.. მიაცივდა სიტყვას „ფინანსიური დანიშნულების მნიშვნელობას. სხვა სიტყვები ბანზე აისროლეს და ხმას აღარ სცემენ და მთელი პოლემიკა ამ სიტყვის მნიშვნელობაზე გადმოიტანეს. მერმე რა რიხით, რა კვეხნით და ბაქიობით დაიწერა ამ სიტყვის განმარტებისათვის ორი-სამი დიდი უშველებელი ფელეტონი! ბ. „ახალმოსულის" სახელით გამოლაშქრებულს და დიდი ხნის აქ მყოფს კი ისე ნაირათ მოაქვს თავი და მედიდურად იკვეხნის: „მე თქვენ წინ გაგიმოთავთ ბ. ნ. ჟორდანიას, მე თქვენ დაგიმტკიცებთ, რომ იმან არაფერი არ იცის, დაგიმტკიცებთ, რომ გერმანიაში ტყუვილა მოგზაურობდა და არაფერი არ შეუსწავლია" და სულ ამისთანა ლათაიები და ბაქიობა. ამ ორ სიტყვაზედ არის აშენებული უშველებელი ლანძღვა-გინებით სავსე ფელეტონები, როდესაც ხუთ სტრიქონში გამოითქმებოდა ის, რისიც თქმა უნდოდა „ახალ მოსულს".

განა დღეს დრო და ჟამია ამისთანა უმნიშვნელო და უბრალო კითხვების ასახსნელად და განსამარტებლად დაკარგოს კაცმა დრო? განა მაგაზე ფიქრობს დღეს ჩვენი საზოგადოება და ამისთანა ლაყბობას მოელის მკითხველი საზოგადოება ჟურნალ-გაზეთებისაგან? რა უნდა ისარგებლოს მკითხველმა მით, რომ შენ ნამდვილად დაამტკიცე, რომ ჩვენი ბანკები არ იწოდებიან „ფინანსიურ დაწესებულად?" არაფერი! მაგრამ არა, ყველა მიხვდება, რომ საქმე ამ სიტყვების მნიშვნელობაში კი არ არის, არამედ სულ სხვა მოსაზრებათაგან არის გამოწვეული. აიღეთ თუ გინდ განათლებული ინგლისი, რისთვის ეომება ბურებს. ისინი დაგიმტკიცებენ ზედ მიწევნით, რომ ისინი იბრძვიან კაცის უფლებისათვის, იბრძვიან, რომ ყოველ კაცს მიენიჭოს კაცობრიული უფლება ტრანსვაალში, და ერთი მეორისაგან არ დაიჩაგროს. განა ეს მართალია? სრულებით არა. ისინი იბრძვიან, რომ ოქროს მდიდარი მადნები ჩაიგდონ ხელში და წაართვან ბურებს... სწორეთ ასე იქცევა „ახალმოსულიც" წინაალმდეგ ბ. ჟორდანიისა. „ახალმოსული" საზოგადოებას მიმართავს და უმტკიცებს, რომ ჟორდანიამ არაფერი არ იცის, არა დაუჯეროთ-რაო...

ტყუვილა იწუხებთ, ბატონო თავს. მკითხველი საზოგადოება თქვენგან მოელის სხვა პასუხს, სხვა თავის გამართლებას როგორც სხვა და სხვა ბრალდებულებაში შთავარდნილი კაცისაგან. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ საზოგადოების მსჯავრი თქვენ წინაალმდეგ არის, რასაკვირველია, ვისაც ოვალის მხედველობა ჭ ყურთა სმენა აქვს, და გონება არ დაჩლუნგებია. საზოგადოება ცხადათ ხედავს ახალმოსულის მსჯელობის არაარობას...

დიაღ, ცუდი დრო დადგა. ყალბდება ყველაფერი, უზნეობა მატულობს, სირცხვილი და ნამუსი სუსტდება. სვინდისი აღარ ამხილებს ზოგიერთებს. ამისთანა დროს ყველას მართებს გამჭრიახობა, მაცადინობა და ყველამ გაბედულად უნდა აუგოს ცბიერები და ორ-პირები!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროა, თუ არა ჭიათურაში ეკლესია—სკოლა?

ჭიათურაში შავი ქვის წარმოებამ იმ ზომამდე აიწია, რომ დღეს დ. ჭიათურა საქვეყნოთ ცნობილი შეიქნა და ყოველი კუთხიდგან ურიცხვი ხალხი მოდის აქ. სწორეთ ბუზივით ირევა ჭიათურაში და მის ახლო-მახლო მიდამოებში როგორც ჩვენებურნი, ისე სხვა-და-სხვა ქვეყნებიდამ მოსული ხალხი. ყოველ კვირა-დღესასწაულ დღეებში ეს ხალხი იღებს ხვედრ ფულს შავი ქვის კანტორებში და იმავე საათში გაემგზავრებიან საძიკიტნო დუქნებში საქეიფოთ და ბილლიარდის—კარტის სათამაშოთ, აქ ეს ხალხი უზომოთ თვრება და რაც კვირიდგან კვირამდე ოფლით იშოვა, ერთს დღეს უნდა ჩატოვონ მიკიტნების დახლში. ამის გამო მრავალი ხდება ლოთობის მსხვერპლი და ზნეობით ეცემიან. ყოველი ცუდი საქმე: დაჭრა, თავ-პირის მტვრევა, მკვლელობა და ყოველ-გვარი ზნეობითი დაცემულობა ხშირია ჭიათურაში უმეტესად კვირა-უქმე დღეებში,—ამას ცხადათ ამტკიცებს „სტატისტიკა“ ჭრილობის და მკვლელობისა. რა არის ამის მიზეზი? მიზეზები მრავალია, მაგრამ უმთავრეს მიზეზათ კი ტაძრის უმექონებლობა უნდა ჩაითვალოს ჭიათურაში, სადაც მილიონი მართლ-მადიდებელი ხალხი ტრიალებს და ლუკმა პურისთვის დღე და ღამე ზრუნავს. ნუთუ საჭირო არ არის ამ ხალხისთვის სულიერი საზრდოც?! მე თვით ჩემის ყურით გამიგონია ჭიათურაში საყვედური, რომ სასულიერო მთავრობა ყურადღებას არ გვაქცევსო, ეკლესია ჩვენ არ გვაქვს და კვირა-უქმე დღეებში ტაძრებში სალოცავად წასვლის მაგიერ დუქნებში ვლოთობთო. ზნეობა და სარწმუნოება შესამჩნევათ ეცემა ჭიათურაში, ვინაიდგან არ არის არც ეკლესია და არც ერთი სამლოცველო სახლი. მეორე, ამოდენ ურიცხვ მართლ-მადიდებელ ხალხში სცხოვრობს სხვა-და-სხვა სარწმენოების ურიცხვი ხალხი. თუმცა გვაქვს ჭიათურაში ერთად ერთი საეკლესიო—სამრევლო სკოლა, სადაც რაც კი შეიძლება, ვცდილობთ ახალ მოზარდ უმაწვილთა ზნეობითად აღზრდას, მაგრამ ამით მიზანს ვერ მივაღწევთ. აგრეთვე საჭიროა დიდების ზნეობითად აღზრდაც. ამიტომ აუცილებლად საჭიროა მოვიშოვოთ ერთი ადგილი, დავდგათ ზედ ერთი კარგი ქვით-კირის, ანუ ხის შენობა. ამ შენობის ერთ ოთახში გავმართოთ ეკლესია და დანარჩენ ოთახებში მოვათავსოთ ორ-კლასიანი სკოლა. ამნაირათ ჩვენ გვექნება ეკლესია და სკოლაც, ამ საქმეს დიდის სიხარულით და გმაუოფილებით დაეხმარება აქაური საზოგადოება, მხოლოდ საჭიროა საქმის აღძვრა, დროზე სასულიერო მთავრობის ნებართვა და ორი—სამი ამ საქმის მოთავე და გულშემატკივარი კაცი.*)

მასწავლებელი ბესარიონ ვაშაძე.

(*) სამწუხარო და სატირალია ჩვენ მწყემსთა დაუდევრობა ამისთანა შემთხვევაში. რომ ვინმე გულის შემატკივარი ადმოჩენილიყო, ჭიათურაში დღეს დიდი ეკლესიაც იქნებოდა და სკოლაც რიგიანად იქნებოდა მოწყობილი. თვითონ ჩვენ მოვიწადინეთ ჭიათურაში სკოლის დაარსება საიმედო ნიადაგზე, მაგრამ შკოლის მტრებმა ჩაგვიშალეს დაწყებული საქმე. ჩვენ აქ დავნიშნეთ მასწავლებლად საიმედო კაცი და სკოლის მტრებმა კი ისეთი კაცი დანიშნეს, რომელმაც ბოლოო მოუღო სამრევლო სკოლას და საზოგადოებას გული აუცრუა სწავლის საქმეზე. უვირილაში არც იმის მესამედი ამბავი ყოფილა, რაც დღეს ჭიათურაშია, მაგრამ, მადლობა ღმერთს, კეთილი კაცების დახმარებით, შემწეობით და მეცადინეობით დღეს აქ ისეთი ეკლესია გვაქვს, რომ არამც-თუ მთელს მაზრაში, ვგონებ, მთელს ჩვენს გუბერნიაშიც უკეთესი ეკლესია არ მოინახება. ასეთივე ეკლესიის აშენება ჭიათურაში უფრო საადვილოა, თუ ვინმე ყურადღებას მიაქცევს საქმეს. ნების დართვა სასულიერო მმართებლობის მხრით ადვილია, მაგრამ მარტო ნების დართვა არ კმარა...

რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმა დიდებულის აჩრდილის

ეს რა მოგსვლია! რამ შთანთქა
ბირი, ნამუსი, სიმართლე?!
ამ დამბრის, რაც მე ავდგანთე,
სად გაჭრა მისი სინათლე?!
კეთილისა წილ ბოროტი
ოხერ-ტიალად თრეშობს,
ბირადობამ სძლო სათემოს,
ოხ, რა საზიზღრად თამაშობს!..
სული სწუხს; გრძნობა სხეტაკი
ივლტის, ისწრაფის შორად,
ბული არ თანხმობს, ვუცქერო
ამ ჩემს ჭირნახულს სწორად!
ბარემ სთქვით: ჩემი მიზანი
რისთვის დაჭკარგეთ კვალია?
ისიც სთქვით, ვინ რეგნის ჩემს შვილებს,
ეს კიდევ ვისი ბრალია?!
ღამის დაწყლულდეს ქვეყანა
იუდას მერადი სენითა.—
სასტიკის რისხვით გვაუგეთრის
აჩრდილი ზესთა ზენითა.

რ. ჭართველისშვილი.

ბრძენ და მეცნიერთა კაცების გონების სა. ღარდან.

გონიერული ბასი სულელთან, იგივეა, რაც ელექტრონული განათება ბრმისათვის.

* * *

ხარისხი, ჯილდო და თანამდებობა უველასთვის დასათვალებელია, თუ თუფლით და სხვა სამარცხვინო საშუალებით არ არის იგი მოპოებული.

* * *

ვინც იდეალთ ქალს ხადის, იგი ძალიერ შემცდარია, ამიტომ რომ იდეალი არის წარმოდგენის საგანი, ქალი-კი ბირ-და-ბირ საგანია.

* * *

პატიოსნება—კეერთხია, რომელიც ცხოვრებაში გეხმარება, სიკეკდილის შემდეგ-კი ძვირფასი სახსოვარია.

* * *

წარმატება—კარგი საქონელია; ეოველი კაცი უნდა გაუმჯობესობას ეიქრობდეს, მაგრამ თან-და-თანობა ამ შემთხვევაში საუკეთესო საშუალებაა.

* * *

ამბარტავნება არის დიდი კიბე გონების წარმოდგენისა და სულელს ისე მაღლა შეუქმია ასვლა, რომ თითონვე ეეშინდება ძირს გადმოხვდეს.

* * *

სურვილი არის შუშუნა, რომელიც მოკიდებისთანავე იფეთქეფს, მაგრამ მაღე ქრება.

* * *

კრიტიკული შენიშვნა კარგია, თუ ბირად ინტერესებზე არ არის დამყარებული.

* * *

პატიოსნება ის გზა-ტკეტილია, რომელზედაც შეუძლია კაცს იარო მთელი თავისი სიცოცხლე უშიშრად.

* * *

შრომისადმი სიეკარული ქმნის ცხოვრებას დაუშრეტელ წყაროდ.

* * *

ცხოვრება ძალიერ ძვირფასი განძია, თუ შენ ნამდვილი ფასი იცი მისი და არ ხარჯავ მას ცუდ უბრალოთ, როგორც სულელი, რომელსაც ხელთ უგდია მემკვიდრეობა უშრომლად.

* * *

ჭაბუკო! მე შენ ძალიერ მეცოდები, ნუ გგონია, რომ ცხოვრება ტბინი იყოს და ტბინს არ ქონდეს ბოლო. ბოლო აქვს, მაგრამ ძალიერ სამწუხარო შენთვის:—სიდარიბე და ტეეა.

* * *

სიმდიდრე უვიცის ხელში იგივეა, რაც ოქროს უნაგირი ვირზე.

* * *

ქვეყანა სავქმე კარგია, თუ ქვეყანის მოქმედს ძალიერ არ მოაქვს თავი მითი.

* * *

მარტო ზეკარდამო ნიჭი გვინერგავს ჩვენ აზრს ნამდვილი თვგამეტებული და მტკიცე შრომისას.

დათიკო ღამბაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბები და შენიშვნები.

3 მაისს, დილის 11 ½ საათზე, ჩვეულებრივის პარაკლისის და დაფიცების შემდეგ, გაიხსნა იმერეთის სათავად-აზნაურო მორიგი კრება. კრების სხდომები საქალაქო ტეატრის დარბაზში იყო მოთავსებული. პირველ დღეს ხალხი შედარებით სხვა წლებთან, მცირე იყო. კრება გაიხსნა გუბერნიის მარშლის თ. სვ. წერეთლის სიტყვით, რომლითაც იგი სიხარულით მიეგება ლეჩხუმისა და სამეგრელოს თავად-აზნაურობის შეერთებას და შემდეგ დაწვრილებით მოახსენა საზოგადოებას ქუთაისის დეპუტატთა საკრებულოში მომხდარის შემთხვევის გამო გავრცელებულის ამბების შესახებ. აღრჩეულ იქმნა ღუბერნიის მარშლად ისევე თ. ს. წერეთელი; ქუთ. მაზრის მარშლათ ისევე ძველად ყოფილი თ. დ. ნიჟარაძე, კანდიდატად თ. გ. ა. ჩხეიძე, დეპუტატად აზ. ა. გ. ერისთავი; ოზურგეთის მაზრის მარშლად თ. კ. ერისთავი; დეპუტატად ხმის უმეტესობით სილ. ხუნდაძე; შორაპნის მაზრის მარშლად —თავადი სიმონ დავითის ძე წერეთელი, კანდიდატად თ. ნ. ხიდირბეგიშვილი, დეპუტატად ზ. კ. მაჭავარიანი; ლეჩხუმის მაზრის მარშლად—თავ. ი. გელოვანი ერთხმად, კანდიდატად თ. ალ. დადეშკელიანი ერთხმად; დეპუტატად—თ. ა. გელოვანი; სენაკის მაზრის მარშლად—თ. ფ. მხეიძე; კანდიდატად თ. ნ. ნ. დადიანი, დეპუტატად თ. ივ. დადიანი; ზუგდიდის მაზრაში ნამყოფ მარშალს თ. გ. კ. დადიანს და თ. კ. გ. დადიანს ამოუვიდა ერთნაირი აღმომრჩეველი და არა აღმომრჩეველი ხმა; რაჭის მაზრის მარშლად—თ. დ. ნ. ბაქრაძე, კანდიდატად დ. გ. კვიტაშვილი; დეპუტატად ერთხმად ს. დ. ჯაფარიძე; კანდიდატად გუბერნიის მდივნის ადგილზე სვ. კვიტაშვილი—ერთხმად.

* *
*

მისი ყოვლად-უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს ლოცვა-კურთხევით ალავერდის ეპისკოპოსი კირიონი მობრძანდება ქ. ქუთაისს, სადაც უნდა ჩაიბაროს მმართვა იმერეთის ეპარქიისა. ყოვლად სამღვდელო ბესარიონი, როგორც ვიუწყეთ ჩვენ მკითხველებს, მადნის წყლებზე მიბრძანდება საექიმოთ ორი თვით.

* *
*

მიხეილ საბინინი, რომელიც უკანასკნელ დროს მოსკოვში ცხოვრებდა, გარდაცვლილა.

* *
*

ყოვლად სამღვდელოს კირიონის სახელზე სინოდიდან პირდაპირ ქალაქ ქუთაისში ქაღალდი მოვიდა და ალბად მალე მობრძანდება მისი მეუფება ქუთაისში.

* *
*

15 მაისს, დილის 10 საათზე, კაეკასიის რკინის გზით ტფილისში მივიდა სპარსეთის შაჰი მუზაფერ-ედდინი. მის უდიდებულესობას თან მოჰყვნენ: უგანათლ. თავადი ემმინუს-სულთან-სადრაზამ, სპარსეთის სასახლის მინისტრი, შაჰის მდივანი, ობერ-ცერემონმეისტერი, ფოსტისა და საზოგადო სამუშაოთა მინისტრები, შაჰის ლეიბ-მედიკი, კამერგერები, კამერ-იუნკერები და შაჰის სხვა კარის-კაცნი და დიდებულნი. გზაში მის უდიდებულესობას დიდის ამბით მიეგებნენ.

* *
*

შორაპნის მაზრის ექიმს ტერლეკის და მაზრის უფროსს გუბერნატორისაგან საყვედური გამოეცხადა საექიმო და სანიტარული საქმის ცუდათ დაყენებისათვის ჭიათურაში.

* *
*

ამ ბოლო დროს მრავალ საშუალო სასწავლებლებში ზოგი საგნების სასწავლო სახელმძღვანელოდ ხმარობენ ამავე სასწავლებლებში მასწავლებლებად მოსამსახურე პირთაგან შედგენილ წიგნებს. ამის გამო საერო განათლების სამინისტრო ცირკულიარულად აცნობებს სამოსწავლო ოლქების მზრუნველთ, რათა მათ განუმეორონ საშუალო სასწავლებლების მთავრობათ, რომ საჭირო სახელ მძღვანელოები მათ აირჩიონ ხოლმე მხოლოდ იმ სახელმძღვანელოებიდამ, რომელნიც ნება დართულნი არიან სამინისტროსაგან და სასულიერო უწყებისაგან.

საერო სკოლების დირექტორი ბ. ლივიცკი თავის სახელმძღვანელოს, რომელიც სამინისტროს მხრით ნება დართული არ ყოფილა, ძალით ურიგებდა მისდამი რწმუნებული სკოლების მასწავლებელთ გასასყიდათ. სწორეთ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბ. ლივიცკის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო ასე ბლომად გასაღდა სოფლის სკოლებში. სწორეთ სასიამოვნოა სამინისტროს ასეთი განკარგულება.

* *
*

ოთხშაბათ ღამეს, 16 მაისს, ჭიათურაში გადაიწვა 38 დუქანი და სხვა თავლები.

* *
*

ყვირილის წყალი მოწამლულია და გაფუჭებული მკვდარი ცხენების, ვირების და ხარების მძორით, რომელთაც ჭიათურაში ჰყრიან ყოველ დღეს ბევრს. დაბა ყვირილაში წყალი ჩამოატარებს ხოლმე რამდენიმე ამისთანა დამპალ მძორს საქონლებისას.

*
* *

ვარშავის გაზეთებში სწერენ, რომ ლიუბლინის გუბერნიაში ნავთის წყაროები აღმოჩენილა.

* *
*

გზათა სამინისტროს საჭიროდ დაუნახავს, რომ ყველა რკინის გზებზე სახალხო მატარებლებში მოწყობილ იქნეს ბუფეტები.

* *
*

შაღი ზღვის ნაპირად, სოხუმის მახლობლად, აუარებელი შვენიერი ქვის ნახშირი აღმოჩენილა.

* *
*

ჭიათურის სამრევლო სკოლა, ახალი მასწავლებლის ბ. ბესარიონ ვაშაძის მეცადინეობით, მადლობა ღმერთს, დღეს კარგს მდგომარეობაშია და იმედია ეს სკოლა მტკიცე ნიადაგზე დადგებ... ის მასწავლებელი, რომელმანც, თითქმის, ბოლო მოუღო ღარმე ამ სკოლას, მოშორდა კაი ხანია სკოლას.

*
* *

ცნობილი იოანნე კრონშტატელი, როცა ხალხს აზიარებდა ეკკლესიაში, მაშინ ხალხმა ერთი ქალი გასრისა, რომელიც იქვე გარდაიცვალა, და ორი ისე დასახიჩრდა, რომ საავადმყოფოში წაიყვანეს. ნეტავი რას უნდა მიაწეროს კაცმა ამგვარი მოქმედება მაზიარებლებისა?...



სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

მღვდელთა მსახურების წეს-რიგი მღვდელ-მთავრის წირვაში და სხვა საჭირო ცნობანი სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურეთათვის.

(თარგმნილი რუსულიდგან მეექვსე გამოცემისა).

გაგრძელება.

როცა ფსალმუნის: „აკურთხევს სული ჩემი უფალსა...“ გალობას გაათავებენ, პირველი დიაკონი იტყვის მცირე კვერექსს, ხოლო მეორე თანამწირველის მიერ ასამაღლებლის თქმის შემდეგ, თაყვანს ცემს მღვდელ-მთავარს მეორე თანამწირველთან ერთად და ისევ თვის ადგილს დაიჭერს.

„მხოლოდ შობილი ძე და სიტყვა“-ს გალობის შემდეგ მცირე კვერექსს მეორე დიაკონი იტყვის და ამის შემდეგ ორნივე დიაკვნები ამბიონიდან ჩამოვლენ ძირს; ამ დროს მათთან მოვა არქიდიაკონიც და სამნივე ერთად ვედრებასა ჰყოფენ ტრაპეზისადმი, ხოლო ასამაღლებელის: „რამეთუ სახიერი და კაცთ მოყვარე ღმერთი ხარ....“ ის შემდეგ თაყვანს ცემენ თვით მღვდელ-მთავარს სხვა თანამწირველთათანა და შევლენ საკურთხეველში, არქიდიაკონი და პირველი დიაკონი სამხრეთის კარით, ხოლო მესამე ჩრდილოეთის კარით. აქ, საკურთხეველში ვედრებასა ჰყოფენ ტრაპეზის წინ, თაყვანს ცემენ და ეთხოვიან ტრაპეზს; შემდეგ მობრუნდებიან სამნივე და თაყვანს ცემენ მღვდელ-მთავარს გაღებულ სამეუფო კარებიდან. თაყვანს ცემენ აგრეთვე მღვდლებსაც მარჯვნით და მარცხნით და მოემზადებიან მცირე გამოსვლისათვის.

მცირე გამოსვლის დაწყებამდე დიაკვნები მიღებენ საცეცხურებს და დადგებიან რიგზე, ხოლო არქიდიაკონი მიუახლოვდება უფროს თანამწირველს და მასთან ერთად ვედრებასა ჰყოფს ტრაპეზის წინ, თაყვანს ცემს მღვდელ-მთავარს სამეუფო კარებიდან

---

*) იხ. „მწყემსი“ 1900 წ. № 6.

და, მიიღებს რა უფროსი თანამწირველისაგან წმ. სახარებას, გამოვა ჩრდილოეთის კარით, შემოუვლის მღვდელ-მთავრის შესამოსავ ადგილს, დადგება მღვდელ-მთავრის წინ და იტყვის: „უფლისა მიმართ ვილოცოთ.“ ხოლო როცა მღვდელ-მთავარი შესავლის ლოცვებს სრულ ჰყოფს, არქიდიაკონი მიმართავს მას და ეტყვის: „აკურთხე ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო წმიდა შესავალი“ და მიუახლოვებს სამთხვევად წმიდა სახარებას. თვით არქიდიაკონი კი ემთხვევა მღვდელ-მთავარს ხელზე, წვავ, ჩადგება მერიპიდეთა შუა და საკურთხეველისაკენ მხედველი იტყვის ხმა მაღლა: „სიბრძნით აღემართენით“; შემდეგ მობრუნდება მღვდელ-მთავრისაკენ და იწყებს გალობით „მოვედით თაყვანის ვცეთ....“-ს.

სანამ მღვდელ-მთავარი წამოვიდოდეს ჯვარის სანთლებით კურთხევის შემდეგ შესამოსავი ადგილიდან საკურთხეველისაკენ, არქიდიაკონი შევა საკურთხეველში და დაასვენებს სახარებას ტრაპეზზე. შემდეგ მობრუნდება და შეხვდება მღვდელ-მთავარს სამეუფო კარებში, ჩამოართმევს ტრიკირს, გაუძღვება წინ და თან მგზავრ გალობს სხვებთან ერთად: „გვაცხოვნენ ჩვენ, ძეო მღვთისაო....“ როცა კმევა გათავდება, არქიდიაკონი ტრიკირს იპოდიაჩოქს გადასცემს, ხოლო თვითონ მიიღებს მღვდელ-მთავრისაგან საცეცხურს, შემოუვლის ტრაპეზს ზემოდან, დადგება მაღალი დასაჯდომელის მახლობლად მარჯვნით და აქედან უკმევს მღვდელ-მთავარს სამჯერ სამ გზის. შემდეგ გადასცემს საცეცხურს პონომარს და დაიჭერს თვის ადგილს.

მცირე გამოსვლის დროს დიაკვნები გამოჰყვებიან საცეცხურებით მეკვერთხეს—უმცროსი წინ, ხოლო პირველი მეკვერთხეს უკან—, შემოუვლიან შესამოსავ ადგილს და დადგებიან რიგში მერიპიდეთა უკან, მღვდელ-მთავრისაკენ პირ შექცევ. როცა არქიდიაკონი ღაღად ჰყოფს: «სიბრძნით აღემართენით», ორნივე დიაკვნები უკმევენ წმ. სახარებას. აგრეთვე უკმევენ თანამწირველებს მღვდელ-მთავრის მიერ სანთლების ჯვარის დასახვაზედაც. როცა მღვდელ-მთავარი შესამოსავი ადგილიდან წამოსვლას დაუპირებს ამბიონისაკენ, დიაკვნები შევლენ საკურთხეველში სამეუფო კარებით, მეორე დიაკონი მისცემს საცეცხურს პონომარს, ხოლო პირველი დაიტოვებს და მიართმევს მღვდელ-მთავარს საკურთხეველში შემოსვლისა და ტრაპეზზე მთხვევის შემდეგ.

სანამ მგალობლები ტროპარს იგალობებდენ, არქიდიაკონი ჰყოფს ვედრებასა და თაყვანის ცემას ტრაპეზის წინაშე და აგრეთვე მღვდელ-მთავრის მიმართაც. მერე გამოვა საკურთხეველიდან სამეუფო კარებით, დადგება მარჯვნით ამბიონზე მაცხოვრის ხატისკენ და ღაღად ჰყოფს: „უფალო აცხოვნე კეთილ მსახურნი....“ და შემდეგ იტყვის მრავალ ჟამიერობითი მოხსენებას. ამის შემდეგ შევა ისევ საკურთხეველში, ვედრებასა ჰყოფს, თაყვანს ცემს მღვდელ-მთავარს და იწყებს გალობით კონდაკს. გალობის გათავებამდი მიიღებს ლოცვა-კურთხევას მღვდელ-მთავრისაგან და ეტყვის: „აკურთხე, ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო, ჟამი სამ წმიდა არსობისა“, გამოვა საკურთხეველიდან და მაცხოვრის ხატისკენ მხედველი იტყვის: „უფლისა მიმართ ვილოცოთ“, ხოლო ასამაღლებელის „რამეთუ წმიდა ხარ, ღმერთო ჩვენო...“-ს შემდეგ მოიბრუნებს პირს ხალხისკენ და გინგილის მიმოხვრით იტყვის: „და უკუნითი უკუნისამდე.“ ამის შემდეგ შებრუნდება ისევ საკურთხეველში, ვედრებასა ჰყოფს ტრაპეზის წინაშე, თაყვანს ცემს მღვდელ-მთავარს, მიართმევს დიკირს და იწყებს გალობით «წმიდაო ღმერთო“-ს.

კონდაკის გალობის დროს დიაკვნები ტრაპეზის ზემო დგანან მღვდელ-მთავრისაკენ პირ-შექცევ და, როცა მღვდელ-მთავარი ჯვარითა და სანთლით გამოვა სამეუფო კარებიდან, გამოჰყვებიან მას ამბიონზე გვერდით.

მღვდელ-მთავრის საკურთხეველში შემობრძანების შემდეგ, როცა ყველა თანამწირველნი ემთხვევიან ტრაპეზს, არქიდიაკონი იტყვის: „ბძანე ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო; აკურთხე ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო მაღალი დასაჯდომელი ესე“ და ჰკითხულობს შემდეგ ლოცვას: „სამებისა გამოცხადება იქმნა იორდანეს რამეთუ თვით საუკუნემან მამამან....“, ხოლო ლოცვის დასასრულს იწყებს „წმიდაო ღმერთო“-ს გალობას. შემდეგ არქიდიაკონი მიიღებს საცეცხურს, პირველი დიაკონი—სამოციქულოს, ხოლო მეორე იპოდიაჩოქი—სასაკმევლეს (საკმევლის ჭურჭელს) და მივლენ სამნივე ერთად მღვდელ-მთავართან, რომელიც ამ დროს მაღალ დასაჯდომელზე სდგას და როცა იგი საკმეველს ჩაუკმევს საცეცხურში, სამნივე ემთხვევიან ხელზე და წავლენ: არქიდიაკონი ტრაპეზსთ და სამეუფო კარებს შუა გაჩერდება მარჯვნით, ხოლო პირველი დიაკონი გაივლის ამბიონს, დადგება ძირს და წაიკითხავს ჩვეულებისამებრ სამოციქულოს.

მღვდ. ი. ფანცხავა.

საეჭვო კითხვების განმარტება.

კითხვა. შეიძლება თუ არა მღვდელმა ტრაპეზზე დასდვას თავისი სათვალე?

მიგება. თუ რა ნივთების დალაგება შეიძლება ტრაპეზზე, ეს კარგად არის განმარტებული. სათვალეს და სხვა უბრალო ნივთების ტრაპეზზე დადება არ შეიძლება.

კითხვა. როგორც ვიცით, პურის კურთხევის წინეთ დასავლეთის კარების სიახლოვეს დადგება მღვდელი და მთავარ-დიაკონი. აქ მღვდელი ანუ მთავარ-დიაკონი წარმოსთქვამს: «აცხოვნე უფალო ერი შენი» და სხ. მღვდელი კი მიბრძანებს ხოლმე წავიდე, მაცხოვრის ხატის წინ დავსდგე აღსავლის კართან და იქ წარმოვსთქვა „აცხოვნე უფალო“ ჯ სხ... კანონიერია თუ არა მღვდლის ასეთი ბრძანება?

მიგება. უკანონოა და ტიბიკონი ამას სრულებით არ თხოვილობს. მთავარ-დიაკონი მღვდელთან უნდა იყოს და იქ წარმოსთქვამდეს ამ დიდ კვერექსს.

კითხვა. როცა მღვდელს მოაქვს სანთელი, მას მანეთზე ორი შაური მიაქვს მოსატანი, ამავე მოტანილ სანთელზე ბლაღოჩინმაც უნდა აიღოს ორი შაური მანეთზე, თუ არა? (გვეკითხებიან სამეგრელოს ეპარქიიდან).

მიგება. ზოგიერთ ეპარქიებში ბლაღოჩინებს აქვს გადაწყვეტილი სანთლის მოგებიდან მანეთზე 2 შ. და თუ ბლაღოჩინი იღებს ამ ფულს, მღვდელს არა აქვს უფლება კიდევ აიღოს რამე.

განცხადება

დახელოვნებულის მხატვარის იოსებ მალაქიას ძე ბაბუნაშვილისაგან.

მაქვს პატივი გაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, რომ მე, რომელსაც მისწავლია ხატვა ადგილიდგან ჩამოუვანილის კარგის მხატვრისაგან და მაქვს ატესტატიც ამისთანა სწავლისათვის, შეუდგები ეკკლესიების ხატების ხატვას. მინდოდა-რა საზოგადოდ დამტკიცებულიეო ჩემი სელობა, თუ როგორ ვხატავ, ამისთვის ეოვლად სამდვეელო იმერეთის ეპისკოპოსმა ბესარიონმა ჩემი ნახატები ხატები: 1) ტეიბულის, 2) ეოგნის, 3) სიმონეთის, —ეს სამი ეკკლესიების მხატვრობები მინდო შესამოწმებლათ 1) ქუთაისის სემინარიის რექტორს მ. ბეზიანენს, 2) ქუთაისის სიბერეს წინამძღვარს გაბრიელ ცაგარელს, 3) დეკანოზ იოსებ ჭეიშვილს და 4) ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარს ნიკიფორეს. ამ არჩეულმა პირებმა შეამოწმეს ეს ჩემი ნახატი ხატები ეკკლესიებისა და დარჩა მოწონებული. ამისათვის გთხოვთ მობრძანდეთ და ინახულოთ, თუ როგორ ვხატავ ჩემის უპირველესის მხატვრებით იმ ფასებში და იმ სამუალებით, რომელსაც დიდ სასიამოვნოთ მიიღებთ.

ჩემი საცხოვრო ქარხანა იმყოფება ქუთაისში მისაილოვის ქუჩაზე ქალაქის „უბრალოს“ წინ.

პატივისცემით **Iოსებ** მალაქიას ძე **ბაბუნაშვილი** და **ვლ. ვ. ლატი.**

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡ: ოფიციალური განყოფილება: უმაღლესი ჯილდოები.—განჩინებანი უწმ. სინოდისა.—სია სასულიერო წოდების პირთა, რომელნიც დაჯილდოებულ იქმნენ მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა დაბადების დღეს სასულ. უწყ. საქსახურისათვის.—უწ. სინოდის განმარტებითნი დადგენილებანი.—განცხადება ყაზანის სემინ. კურსებ.

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ: ჩვენი სოფლის ცხოვრების ეხლანდელი საპირველამო კითხვებისა გამო.—ჩვენი ქალების მორთვა-მოკაზმულობის შესახებ.—მ. ეზოთაში ყოფნა —იმერეთის ეპარქიის სამღვდელ. დეპუტ. კრება ქ. ქუთაის ში დეკემბრის 15, 16, 17, 18 და 19 რიცხ. 1899 წ.—მწარე ფიქრები.—საპიროა თუ არა ჭითურაში ეკკლესია-სკოლა?—ხმა დიდებულის აჩრდილისა.—ბრძენ და მეცნიერ კაცთა გონების სალაროდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

ᲡᲐᲞᲘᲠᲝ და **ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ** ცნობათა განყოფილება: მღვდელთა მსახურების წეს-რიგი მღვდელ-მთავრის წირვაში და სხვა საპირო ცნობანი სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურეთათვის, რუს. თარგ. ი. ფანტუსოვს მიერ.—საეჭვო კითხვების განმარტება. და განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ღამბაშიძე.** Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 21 Мая *1900 г.* ✦ *Цензоръ прот. Е. Елiевъ*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. А. Дейсадзе на Нѣмецкой ул.